სამშაბათი, 1917 წ. 1 მარიამობისთვე (14) წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მას შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი [illegible] მკითხველთათვის წლის დამლევამდე [illegible] 5 მ. ნ., ერთი თვით (მხოლოდ [illegible]) 2 მან. ცალი № 10 კაპ. განცხადებების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე — 20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

№ 167 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი **№ 167**

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

უკრაინელ ჯარისკაცთა და რუსის კირასირთა შორის კიევში შეტაკება მოხდა. უკრაინელი 15 მოკლეს, კირასირი 2.

[illegible]ესის ევაკუაცია დაიწყეს.

შინაო და სამხედრო სამინისტროს ყოველივე ყრილობების და კრებების აკრძალვის უფლება მიეცა.

[illegible]ხსნა ურალისა და ასტრახანის ყაზახთა კონფერენცია.

სრულიად მაჰმადიანთა სამხედრო ყრილობამ დაადგინა დაუყონებლივ განახორციელოს კულტურულ-ეროვნული ავტონომია და შეადგინოს ეროვნული ჯარი.

რუმინეთის მეფე და მთავრობა როსტოვში გადმოდი[illegible].

გერმანელებმა ისეთი მახრჩობელა გაზი გამოიგონეს, რომელიც სახლშიც ატანს, ტანისამოსს და კანსაც წვავს.

რუს-რუმინელთა ჯარი უკან დახევას განაგრძობს. გერმანელები ორივე ფრთის მოვლას ცდილობენ.

ლატიშებმა დაადგინეს ლატვიის პოლიტიკური ავტონომიის განხორციელება.

მოსკოვის თათბირის მოწვევა 10—11 აგვისტოსათვის [illegible] გამოცხადებული.

რუსის ეროვნებათა კონგრესს უკრაინელთა რადა 15 აგვისტოს იწვევს კიევში.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური. ავტოკეფალიის დამტკიცების გამო.
შალვა დადიანი. სამშობლოს...
სომხური და რუსული პრესა.

ს. ა—[illegible] რისი ან ვისი ბრალია.
ხარლამოვის მოხსენება პეტროგრადში.
საქართველოს ავტოკეფალიის დაწვრილებითი ცნობა (პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით მიღებული).

ხელისმომწერთა და აგენტებთა საყურადღებოთ

გაზეთ „საქართველოს“ კონტორა ამით აცხადებს, რომ ხელისმომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ და აგრეთვე აგენტებს, რომელთაც წაღებულ გაზეთების ფული არ გადაუხდიათ, 10 მარიამობისთვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ. ამიტომ კონტორა წინდაწინ გთხოვსთ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა.

„საქართველო“-ზე ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“, რომლის საშუალებით გაზეთი „საქართველო“ ურიგდება ხელის მომწერლებს ბინებზე, ამით აცხადებს, რომ ვინც წლიურ ხვედრ ფულს [illegible] არ შემოიტანს კანტორაში 10 აგვისტომდე, მას რედაქციის განკარგულებით გაზეთის გზავნა მოესპობა და კანტორა დარჩენილ ფულის ამოღებად ზომას იხმარს.

5—უ—2 კანტორა „იმერეთი“.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქ. № 12, ქართულ სათავად-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდე. ვთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად, წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიურ გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში [illegible] ივანე იაკობის ძე [illegible]თან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 6—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.
10—718—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.
751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი:

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხართუხის კლუბი) ბინაზე, კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუხალტერ კალატოზიშვილთან.
10—742—10

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენი სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

ქ უ თ ა ი ს ი

თ. გოგუაშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:

1) ს. რ. გორგაძე. კაზმულ სიტყვიერების [illegible]ითი ქრისტომათია ჩვენი ახალი მწერლობა. . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) ია. ეკალაძე. მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . — 5 „

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:

1) გ. ყიფიანი. დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.
3) [illegible]
4) ივ. გართაგავა. [illegible] და ბავშვთა სამყარო.
5) მიხ. [illegible]. არაორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

მალე დაიწყება ბეჭდვა:

1) ალ. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით. მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) ი. გომელაური. მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) ტ. მამალაძე. სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) მისივე. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—1)

სად. სუმბათოვის მახლობლად ს. საგანის-ხევაში

გამართულია

სამკურნალო აბანო

არჩენს ყოველ გვარ ქარებს, სხეულის სისუსტეს, მუწუკებს და ძვალ ტეხასა. წყალი ცივიცაა და ცხელიც, არის სადგომი ბინა, მიმოსვლა შეიძლება ურმით სად. სუმბათოვიდან, დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სად. სუმბათოვოში, ტელეგრაფისტ კ. გაჩეჩილაძისაგან.

აბანოს გამგე მიხეილ ბარბაქაძე.
4—725—2

თბილისი, აგვისტოს 1.

ავტოკეფალიის დამტკიცების გამო

რევოლუციამ საქართველოს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ეროვნული საქმე მოაგებინა—ეს არის ეკლესიის განთავისუფლება უცხოელთა ტყვეობისაგან.

ქართველმა ერმა სარევოლუციო წესით მოიგო ეს საქმე. ძლიერმა უკრაინამ ამავე სარევოლუციო წესით მთელი პოლიტიკური ავტონომია განახორციელა, და ეროვნული მთავრობა—„რადა“—დაარსა, უფრო სუსტმა და უფრო ცუდ გარეშე პირობებში მყოფმა საქართველომ მხოლოდ ავტოკეფალია გაჰბედა.

დღეს ბრძოლა ავტოკეფალიისათვის თითქმის დასრულებულად უნდა იქნას აღიარებული. როგორც პეტროგრადის დეპეშა გვაუწყებს, დროებითი მთავრობას ვერ დაუმახინჯებია საქართველოს საავტოკეფალიო უფლებანი ისე, როგორც ეს უწმიდეს სინოდს სწადდა:

ქართველი კათალიკოსი თბილისში იცხოვრებს... სამღვდელოება და საეკლესიო დაწესებულება ჯამაგირს ხაზინიდან მიიღებს... ეკლესიის იურიდიული პიროვნების უფლება ეცნობა... [illegible] გადაუყენებიათ.

ყველაფერი ეს ისეთი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა ქართული ეკლესიისა, რომ მასთან შედარებით ზოგიერთი წვრილმანი საკითხის არა სასურველი ხასიათი (მაგალითად, რუსის ეგზარხოსის „თბილელის“ ცალიერი ტიტული) მაინც და მაინც ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

ქართული ეკლესიის მოვალეობა ამ ჟამად ის არის, რომ კათალიკოსის მოახლოვებული არჩევნები და საეკლესიო ყრილობის საქმე რაც შეიძლება ფართოთ გააცნოს მრევლს, რომ ორივე საქმეს ხალხოსნური ხასიათი მიეცეს.

დაუყოვნებლივ საჭიროა აგრეთვე ზომების მიღება რუსთა და ქართველთა ერთურთ მრევლთა საჩქარო გამიჯვნისათვის და სასულიერო სკოლების დაუყონებლივ ნაციონალიზაციისათვის...

——

ზეგ, ხუთშაბათს, სიონის ტაძარში საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე თბილისის სამღვდელოების თანადასწრებით სამადლობელ პარაკლისს გადაიხდის ავტოკეფალიის დამტკიცების გამო.

იმ დღეს სიონში შეკრებილ ქართველობას დაე, ახსოვდეს, რომ ბრძოლა ეკლესიისათვის მხოლოდ ერთი ეტაპი არის საქართველოს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისათვის და განვლილი [illegible] იმას გვავალებს, რომ შემდეგი ნაბიჯებისათვის უფრო დამარაგებული ვიყოთ, ვიდრე მარტის 12 ვიყავით.

სამშობლოს...

გაბედულობა.

ეს ძვირფასი სამკაული გმირისა, ნამდვილი ადამიანისა თითქო აღარა გაქვს, საყვარელო სამშობლო?

არც გასაკვირია:

იმდენ ხანს გზრდიდნენ მონათ, იმდენ ხანს ამახინჯებდნენ შენს სულს, გიკარგავდნენ თავისთავადობას, შენი „მე“-ობის ამაყ შეგნებას, რომ—[illegible] თავი დააღწიო ამ ფსიხიკას მონისას.

„სიფრთხილეს თავი არა სტკივა“; „ასჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ“.. ესეც შენი ხალხური ჰენიოსობის გამოთქმულია, მაგრამ ნუ თუ ვერ ხედავ, რომ დღეს ეს სიბრძნე აღარ გამოგადგება?! მაგასაც თავისი დრო და ალაგი ჰქონდა, იქნება კიდევ...

მხოლოდ დღეს ვაი თუ ეგ სიბრძნე შიშათ ქცეულიყოს... მაშინ ნუ დაივიწყებ, რომ შიში მუდამ ცუდი დიპლომატი ყოფილა.

ან რადათ გინდა დღეს დიპლომატობა? რადა გაქვს მოსარიდებელი?

— ჩაბალახ ახდილი ხარ, იარაღ აყრილი, ენა შებოჭილი გაქვს, ზნე-ჩვეულება და შენი საუკეთესო მისწრაფებანი შეგინებული.

აღარა სწამთ, რომ შეგიძლიან კვლავ პოლიტიკურად თავისუფალი ცხოვრება. თვით ზოგიერთი შენი შვილებიც ეჭვობენ.

რას უყურებ? მეტი რა გაქვს დასაკარგი?

თავის თავის პატრონი შენ არა ხარ. სხვები გყავდა და გყავს გამგებლებათ და „[illegible]“. [illegible] შენი იმედი და მომავალი ახალგაზრდობა უსაშველო და ულმერთო ბრძოლის ველზე სისხლსა ღვრის, ქარიშხლებით აივსო ქვეყანა, მამაცთაგან ცალიერდება. ეკონომიურად გაღატაკდი, სხვისი უღელი გაქვს დადგმული, კარზე შიმშილი გადგია და დღეს თუ არა ხვალ უარესიც მოგელის.

მაშ რას უფრთხი, რას უყურებ? ვინ არის შენი მშველელი?

ისევ შენი თავი, მერწმუნე, სხვა არავინ.

სხვას უშენოთაც ბევრი საქმე აქვს, სხვას არც მაინცდამაინც უნდა შენი განთავისუფლება, შენი ფეხზე დადგომა, აღორძინება...

ამას ბევრი და რთული მიზეზები აქვს.

მიმოიხედე გარშემო. კარგა გამოფხიზლდი, ნუ ხარ ბურანში.

დარწმუნდი—ყველას თავის საკუთარი ინტერესი ამოქმედებს. შენი არ ედარდებათ. შენ მხოლოდ მოსახმარ მასალად უნდივხარ:

რუსის იმპერიალისტებს იმიტომ, რომ დიდი ძალაა, როდესაც მონათა ჰყავს შენისთანა მამაცი-ხალხი... უკიდურესს სოციალისტებს მისთვის, რომ სასახელოა, როდესაც შენისთანა ნიჭიერი ერის შვილნი გვერდით ჰყავს. მათი შემწეობით უფრო ადვილათ იკაფავდენ გზას თავის მიზნისაკენ,

ყველას ესახელები, ყველას უნდიხარ, მხოლოდ შენი საკუთარი ბედნიერება, აღორძინება, ფეხზე დადგომაკი ნაკლებ უნდათ: „ეს არ შედის მათ პროგრამაში“.

და თუ ძალას წარმოადგენ სხვისთვის, თუ ნიჭსა და დიდ გონებას იჩენ სხვისთვის, თუ ესეთი უნარიანი ხარ, ყოველივე ეგ მადლი გამოაჩინე შენთვისაც.

დადექ საკუთარ ფეხზე, [illegible] შენ თავსა, ნუ გეხათრება ნურავისი, ნურა გეშინია, ნუ ფრთხი და—მერწმუნე—თავისას გაიტან. მაშინ შენ მომაგრებული სხვასაც კარგა არგებ.

აჰა, ღმერთო, ეგ ხომ სულ საანბანო ჭეშმარიტებას გეუბნები, ვიცი კარგათ, რომ იქ გულის სიღრმეში მეთანხმები, მაგრამ ამბობ, ამას ყოველივეს ძალა უნდა. ძალა [illegible].

ჰო და რაღას უყურებ?

თუ იტყვი შინაურ პარტიებზე? ხომ იცი, რომ პრინციპიალად უკვე ყველა თანხმაა პოლიტიკურად თავისუფალი იყო.—დემოკრატების გარჩევას მე არ შეუდგები. ეგ შედარებით ისეთი წვრილმანი, რომელსაც თვით შენვე, შენი ეროვნული, აღმასრულებელი ორგანო შეიმუშავებს.

თუ ამბობ რუსეთზე? საუკეთესო მისი წარმომადგენლები, თვით დემოკრატიაც კვლავ პრინციპიალად მხარს უჭერს შენს სურვილს...

თუ გაიხსენებ მეზობელ ერებს? იმათ არ ვაწყენინოთ, ისინი არ დავჩაგროთ? ისიც გაიხსენე, რომ წინეთ, როდესაც შენ პოლიტიკურად თავისუფლად ცხოვრებდი და როდესაც შეიძლება უარესი წეს-წყობილება გქონდა, მაშინ არ დაგიჩაგრავს არავინ, მაშინ არ შეგივიწროვებია არავინ. დღეს კი, როდესაც დემოკრატიულ მმართველობას შექმნი, ნუ თუ ამას მოისურვებ?

იწამე შენი თავი, იწამე შენი კეთილი ხასიათი, რომელიც მიუხედავად ბევრი ცვლილებისა, მაინც ძვალ-რბილში გაქვს გამჯდარი და [illegible] შენი საქმის განხორციელებას.

არსებით არ არის ისეთი შიში, როგორც აზვიადებენ ზოგიერთნი, მხოლოდ შენი სიმხნის გამოწვევაა საჭირო, სულიერი სილაჩრის შეჩვენება, გაბედულებაა საჭირო და [illegible] რომ გაიმარჯვებ.

თორემ თუ უცადე სხვებს, [illegible] რა ხდება? ამ დღეებში ფინლიანდიის სეიმი დახურა დრ. მთავრობამ.

ვერა გრძნობ ეს რა ცუდი ნიშანი? ამ ქარტეხილის დროს, ამ „სისხლის [illegible]“ [illegible] რუსის მთავრობისთვის, თუნდაც ერთი კმაყოფილი და მადლიერი გული [illegible] რამეს შეადგენს, ამ დროსაც ეს ხდება, რაღა იქნება შემდეგში, როდესაც რუსეთის ერთი მძლავრი ნაწილი წელში გაიმართება და გამაგრდება.

მაშ რაღას უნდა დაუცადო? რათ უნდა დაუჯერო იმათ, ვინც ამ დაცდით, ზოგი ნებსით და ზოგი უნებლიეთ, ლამობს შენს [illegible]?

არა! შენს თავს შენ თითონვე მოუარე და მაშინ ყველა ანგარიშს გაგიწევს.

ამისთვის შემოკრიბე დღესვე, დაუყონებლივ ქართველთა ჯარი, ამისათვის მოახდინე დღესვე დაუყონებლივ ეროვნული ყრილობა.

აი შენი დღევანდელი უდიდესი მოვალეობა თვით შენი თავის წინაშე და თუ გნებავს რუსეთისა და თვით კაცობრიობის წინაშეც.

აღარც ამის უარსა არის ვინმე: ეროვნული ყრილობა ყველა ჩვენ პარტიებსა სურს, ქართველ ჯარის დარაზმვას თვით მთავრობაც არ ეწინააღმდეგება.

გაბედე, გადადგი ეს ნაბიჯი.

შენ მშვენიერი მაგალითი გაქვს წინ—ჩვენი ავტოკეფალიის საქმე.

ამ უდიდეს საქმეშიაც გამოიჩინე ფხა, ერთსულოვნობა და შეურიგებლობა...

შეერთდეს ყველა: მუშა და გლეხი, თავადი და აზნაური, სასულიერო წოდება, ბურჟუა, სხვილი და წვრილი და ყველა [illegible] ქართველი მოდგმისა.

ამ ჟამად დავივიწყოთ ყოველი პარტიული [illegible], ვინაიდან სამშობლო ყველა პარტიაზე მაღლა სდგას. პარტიულ მოწესრიგებას შემდეგშიაც მოვესწრებით.

ამიერიდან მხოლოდ სამშობლოს განთავისუფლება იყვეს ჩვენი უმთავრესი საფიქრალი, საზრუნავი და საწადელი. მხოლოდ მისთვის ვიბრძოლოთ, მხოლოდ მისთვის [illegible].

ჯერ ეს გავაკეთოთ.

„მრავალ-ჭირით [illegible], სამშობლოვ, ასე ნუ შეიცვლები“.

იყავ მხნე, პირდაპირი, გამბედავი, [illegible] დღეს რა გმართებს, თორემ ხვალ სულ სხვა რამ [illegible].

დღეს შენი ვალია დარაზმვა და ეროვნულ ყრილობის მოწვევა.

მოახდინე ეს და... „მომავალი შენია“!

შალვა დადიანი.

სომხური პრესა

„ჰორიზონი“ (№ 158) მთლად გადაბეჭდა ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილი გ. ვეშაპელის: **„გერმანია, ოსმალეთი და საქართველოს საკითხი“** და მის გამო მოწინავეც მოათავსა. მოწინავე წერილში ვკითხულობთ:

გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს შეხედულება „ჩვენ კარგა ხანია ვიცოდით, ჯერ კიდევ რუს-ოსმალოს ომის დაწყებამდის· ამ აზრით ჩვენს ამხანაგებს კარნუ-ქალაქში (აზრუმში) ომის წინა დღეებში წინადადებითაც მიჰმართეს, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ სომხეთი სოლია მაჰმადიანთ ქვეყნებში კავკასიის ქედის სამხრეთით და რომ ეს სოლი ეკალი იყო პანისლამისტებისათვის და გერმანიისთვისაც, რომელსაც უნდოდა სომხეთის მაღლობი ვაკის მხრივ თავისი ბაღდადის პროექტი მეჩქარისაგან განთავისუფლებინა. პანისლამიზმისა, ოსმალეთისა და გერმანიის ინტერესები თანაბრად მოითხოვდნენ, ამოვარდნილიყო ეს სოლი, რომელიც კვარცხლ-ბეკად გამოადგებოდა რუსის მხედრობას მახლობელ აღმოსავლეთში“.

სომხების გაწყვეტითა, აყრითა და შუამდინარეს გადასახლებით ჩვენმა მტრებმა თავის საწადელს თითქმის მიაღწიეს,—სოლი თითქმის ამოაგდესო, მაგრამ, განაგრძობს გაზეთი:

„ჯერ რჩება მისი წვერი თბილისიდან იგდირამდე და შუშიდან ახალქალაქამდე. სოლის თავს უცქერის პანისლამიზმიც. ასე რომ ამოფხვრას ემუქრებიან არა მარტო ლტოლვილ ობლებს, სიკვდილს გადარჩენილ ქვრივებს და დარბეულ ხალხს, არამედ კავკასიის სომხობასაც. აქეთკენ მოაქვს ქურთს თავისი მგლეჯელი ხელი, ოსმალს თავისი ბასრი მახვილი. გერმანიას თავისი ანგარი და მომაკვდინებელი განზრახვა. პრუსიული სულგრძელებით ის გვპირდება ჩვენი არსებობის უზრუნველყოფას, რასაკვირველია, როგორც მისი მოკავშირისას. სომხის ერმა ნახა ეს უზრუნველყოფა შუა მდინარის ველებში და ართვინის ხევ-ხუვებში.

ასეთია მდგომარეობა და ამ მიმართულებით მუშაობდნენ და მუშაობენ გერმანელი აგენტები კავკასიაში და სხვაგან. და თუ ვინიცობაა რევოლუციამ არ გაამაგრა [illegible] მჰყრობელობა კავკასიაში და რუსის ბანაკი ფრონტზედ, მაშინ ის მოხდება, რაც რომ განზრახულია დიდი ხანია,—ამოვარდება სოლის დანარჩენი ნაწილიც, რადგანაც სომხის ერმა იცოდა წინად და იცის ახლაც, რომ თუ კი არსებობს წინა აზიაში რაიმე სახელმწიფო, რომელმაც ცოტად თუ ბევრად ადამიანის ელემენტარულ უფლებათა პატივცემით მოპყრობა იცის, ეს რუსეთი არის. მისი კავკასიაში დასუსტება სომხის ერის ამოფხვრას უდრის“.

რუსული პრესა

დაშნაკცუთუნი და სტოლიპინი.

ადგილობრივ რუსულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ბორბაში“ დაბეჭდილია მეტის-მეტად საყურადღებო საბუთი, რომელიც კარგად ახასიათებს ეგრედ წოდებული სომხური „რევოლუციური“ პარტიის „დაშნაკცუთუნის“ როლს ძველი წესწყობილების ბატონობის დროს. ეს საბუთი წარმოადგენს საიდუმლო მოწერილობას, რომელიც სტოლიპინს ყოფილი ვორონცოვ დაშკოვისთვის გამოუგზავნია. ყოფილი პრემიერ მინისტრი ყოფილ მეფის ნაცვალს სხვათა შორის შემდეგს სწერს:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები სხვათა შორის უეჭველად ამტკიცებენ, რომ ზემოდ ხსენებული ორგანიზაცია (ე. ი. დაშნაკცუთუნი) აშკარად მოქმედობს და ალიარებულია თვით მთავრობის მიერ, რომლის ზოგიერთი წევრები უთანხმდებიან „დაშნაკცუთუნს“ კერძო საკითხების გადაწყვეტაში. ამ პარტიის წევრები ხანდახან პოლიციის მაგიერობას ჰკისრულობენ და კანონიერ მთავრობას წესრიგის დაცვაში ეხმარებიან: უკანასკნელ დროს ზოგიერთ გუბერნიებიდან და ცენტრალურ დაწესებულებებიდან მოსული ცნობები ამტკიცებენ რომ ორგანიზაციას თავისი წინადადებები შემოუტანია ჩვენი და ოსმალეთის ურთიერთობის საკითხში“.

როგორც ამ ოფიციალურ საბუთიდან სჩანს სომხურ ეროვნულ პარტიას ბოქაულისა და ჟაშუშის როლი უთამაშნია სტოლიპინისა და ვორონცოვ-დაშკოვის დროს. ახლა დრო შეიცვალა და დაშნაკცაკანები რევოლუციონერებისა და სოციალისტების სახით გვევლინებიან. სოციალისტ-რევოლუციონერებს და ჩვენ [illegible]ტებს სწორედ რომ ღირსეული მოკავშირეები ჰყავთ.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. მკათათვის 29. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ლიდის მიმართულებით სროლამ ცხარე ხასიათი მიიღო. ბროდის მიმართულებით დუბ-ზარკუვის რაიონში მკათათვის 27-ს მტრის ხანგამოშვებითი შემოტევა ყველგან მოვიგერიეთ.

რუმინეთის ფრონტი. მდინარე სერეტისა და სუჩვას ველებში და ტერებენიგადიკფალას რაიონებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდინარე დომბრას სათავისაკენ მტერმა ჩვენი ჯარი შეავიწროვა. ოკნას სამხრეთ-დასავლეთით მკათათვის 28-ს მთელი დღე სწარმოებდა ცხარე ბრძოლა. მტერს ძლიერი იერიშები მოჰქონდა. საღამოთი რუმინეთის ჯარმა ოკნა-გროზეშჩის დასავლეთით 5 ვერსზე დაიხია. ასევე ფოკშან-მერეშეშჩის რკინის გზის დასავლეთით. საღამოს ჩვენი ჯარი მდინარე სუშიცს გადმოვიდნენ. რკინის გზის აღმოსავლეთით კი მტრის იერიშები მოვიგერიეთ და 300 ტყვე წამოვიყვანეთ. ბრძოლა გრძელდება. საღამოს ჩვენები ალაგ-ალაგ მდ. სუშიცის სამხრეთ ნაპირზე გადავიდნენ და კონტრ-იერიშებს შეუდგნენ.

კავკასიის ფრონტი უცვლელადაა.

მფრინავთა მოქმედება. მტრის მფრინავებმა სადგურ მოლოდეჩნოს ყუმბარები დაუშინეს.

რუსის ჯარის გასაჭირი

მოქმედი ლაშქარი. მკათათვის 28. ვოლინის ფრონტზე მტრის მზვერავები მოქმედობენ. ბროდისა და დნესტრის სამხრეთით მტრის ძლიერი საარტილერიო ცეცხლია. მკათათვის 27-ს მტერმა დუბ-ზარვუკის უბანში მტრის არტილერიამ და ნაღმის მსროლელებმა დიდი ცეცხლი დაანთეს. შემდეგ მტერმა ს. ზარკუვის ჩრდილოეთით ტყიან ქედზე მიიტანა იერიშები. ჩვენებმა დიდის ზარალით დაიხიეს. მოშველებულ ჯარით მდგომარეობა გამოვაკეთეთ.

პეტროგრადი. მკათათვის 30. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ქალაქ ზბარჟის რაიონში და ვოლოჩინის მიმართულებით გუსიატინის რაიონში მტერი მძლავრ არტილერიას ამოქმედებს. ჩვენი მზვერავები გადავიდნენ რა, მდ. ზბრუჩს, გუსიატინაში (ავსტრია) შეეცვივდნენ და ხელით სასროლ ყუმბარების ბრძოლის შემდეგ წამოიყვანეს 21 გერმანელი ტყვე. მათვე ხელთ იგდეს 2 ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

რუმინეთის ფრონტი. მდ. დომბრას სათავის რაიონში ბრძოლა კვლავ სწარმოებს. ოკნას დასავლეთით, სროზესჩიან მკათათვის 29-ს მთელი დღე და ბრძოლა სწარმოებდა. საღამოთი ავსტრო-გერმანელებმა იერიშები გააძლიერეს და მოშორელეჩსა და გროზეშჩის დასავლეთისაკენ წამოვიდნენ. ფოკშანის მიმართულებით. ავსტრიელ-გერმანელებმა ფოკშან-მერეშეჩის რკინის გზის მიყოლებით მთელი დღის განმავლობაში დიდ იერიშებს აწარმოებდნენ. მიუხედავად მტრის ასეთ მოქმედებისა ჩვენები მედგრად იცავდნენ თავიანთ ასპარეზებს. კონტრ-იერიშების დროს ხელთ ვიგდეთ 1200 ტყვე. რუმინელთა ჯარმა ვილენის, მერეშესჩის და ფურჩენისაკენ დაიხია.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. მკათათვის 28. ბელგიაში დიქსმოიდეს აღმოსავლეთით და ლანგემარკის დასავლეთით ჩვენ წინ მივიწიეთ, ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით გერმანელებმა ფაიეს რაიონში იერიში მოიტანეს. იერიში ყველგან მოვიგერიეთ და ზარალიც მივაყენეთ, მხოლოდ უბნის შუაგულში კი მათ პატარა ალაგი დაიჭირეს. ენის სამხრეთით მტერი ალლემონისა და ფლენის სამხრეთით მდებარე ალაგებს უშენდა. დილის 4 საათზე მტერმა პანტეონიდან დაწყებული დე-შევრონამდის, ჩვენს ასპარეზზე იერიში მოიტანა. მათი სამი ბატალიონი და დამკვრელი ჯარი რამდენჯერმე შეეცადა ჩვენი ასპარეზი გაერღვია, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. ჩვენ ყველა ასპარეზი შევინარჩუნეთ. ბილის სამხრეთით, შევრეს აღმოსავლეთით, ვოკუას რაიონში, ავაკურში და ფლირის ჩრდილო დასავლეთით გერმანელები იერიშებს შეეცადნენ მაგრამ ამაოდ.

პარიზი. მკათათვის 27. ოფიციალი. ბელგიის ფრონტზე ლანგემარკის სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ და 20 ტყვე წამოვიყვანეთ. პანტეონისა და შევრიპის უბნებში, ობერივას ახლობლად და მაასის ორთავ მხარეს საარტილერიო ბრძოლაა.

მფრინავთა მოქმედება. მკათათვის 26 დღისით კოლმარსა და გაბას გეიშში ჩვენმა მფრინავთა რაზმმა მტრის ჰაეროდრომს ყუმბარა დაუშინა.

ახლო აღმოსავლეთი.

პარიზი. მკათათვის 27. პრესპის ტბასთან მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. ვარდარასა და ცრნის რაიონში საარტილერიო მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება. ბრიტანელ მფრინავებმა ლივანოვში ჰაეროდრომსა და სერესისა და მიაკოვის რაიონში საწყობებს ყუმბარა დაუშინეს.

პარიზი. მკათათვის 29. ოფიციალი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით ჩვენ საკმაოდ წავიწიეთ წინ ლიუფენის მიდამოებში, გამოვრეკეთ მტერი სანგრების მომიტებულ ნაწილებიდან, რომლებიც მტერმა დაიკავა წინა ღამით და წამოვიყვანეთ 15 ტყვე. ცილის სამხრეთით ბრწყინვალე შეტევით ჩვენ ავიღეთ ერთი დიდ-მნიშვნელოვანი სანგარი, რომელსაც თავგამოდებით იცავდა მტერი. შამპანში, საარტილერიო სროლის შემზადების შემდეგ, გერმანელებმა რამდენჯერმე შემოგვიტიეს ჩვენ, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ და დიდი ზარალიც მივაყენეთ.

პარიზი. მკათათვის 28. საღამოს ოფიციალი ცნობა. სენ-კანტენის ჩრდილოეთით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ორი იერიში პანტეონის ფრონტზედაც სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. ამ რაიონში გერმანელებს ახალი იერიშები აღარ მოუტანიათ. აქ ჩვენ წამოვიყვანეთ 100 ტყვე. დე-შამპანის რაიონში მტრის იერიში ამაო გამოდგა.

ბელგიის ფრონტზე. რამსკაპელეს მიმართულებით მტრის არტილერია მხნედ მოქმედობს.

მკათათვის 28-ს საღამოს ჩვენმა არტილერიამ მტრის საფრენი ჩამოაგდო.

ბრიტანიის ფრონტზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

გერმანელების მახრჩობელა გაზები.

[illegible] მკათათვის 28. [illegible]რიდან იტყობინებიან, რომ გერმანელები ახალ მახრჩობელა გაზის ყუმბარებს ხმარობენ თურმე. ეს გაზი [illegible] სამოსს ატანს და ტყავს სწვავს. ამ ბოლო დროს გერმანელები ჰხმარობენ აგრეთვე პატარა ყუმბარებს, რომელთა მახრჩობელა გაზი თურმე დახურულ სადგომებშიც კი ჩადის. ეს გაზი მალე იკრიბება თურმე თმაში ულვაშებში და წვერებში. ამ გაზით უკვე მრავალი დამხრჩვალა.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მკათათვის 26. იპრის მახლობლად საარტილერიო სროლაა, დილით ლანსთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე, შევცვივდით მტრის სანგრებში, ბევრი ამოვწყვიტეთ. მივანგრიეთ მოსაგერიებელი შენობები და ცოტაოდენის ზარალით უკან გამოვბრუნდით. ნიუპორის რაიონში მტრის არტილერია მოქმედობდა.

მფრინავთა მოქმედება. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. დაახიანეს ერთი და მშვიდობით დაბრუნდნენ.

ლონდონი. მკათათვის 27. დიქსმოიდეს სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს. რეს ჩრდილოეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

გერმანელებმა ჰოსპიტალს ყუმბარები დაუშინეს.

მოქმედი ჯარი. მკათათვის 28. გერმანელების ჰაეროპლანმა ვილეიკის საევაკუაციო საქირურგო ჰოსპიტალს ყუმბარა დაუშინა. დაინგრა აფთიაქი, დაიჭრნენ: სანიტარი, მოწყალების და 5 ავადმყოფი და დაჭრილი. ჰოსპიტალს წითელ ჯვრის ნიშნები ჰქონდა.

მფრინავთა მოქმედება. გუშინ ჩვენი და მტრის მფრინავები ენერგიულად მოქმედობდნენ. დასავლეთის მძლავრი ქარი ჩვენებს მოქმედებას უძნელებდა. ჩამოვაგდეთ გერმანელთა 5 ჰაეროპლანი, 5-იც დავაზიანეთ.

ლონდონი. მკათათვის 28. დღეს დილით ჩვენებმა მარჯვე შეტევით სოფელი ვესტჰუკი გრინბენვესტჰუკის სახლის პოზიცია დაიჭირეს. დიქსმოიდეს აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ჩვენ მოკავშირეებს იერიში მიაქვთ. მონში-ლე-პრეს აღმოსავლეთით ჩვენ მტრის სანგრებში შევიჭრით. დავანგრიეთ მტრის თავშესაფარ-სიმაგრეები და დიდი ზარალიც მივაყენეთ. მტრის მძლავრი კონტრ-იერიში შევაჩერეთ. ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიისმფრქვეველი და რამდენიმე ტყვე.

ლონდონი. მკათათვის 29. ოფიციალი. იპრის აღმოსავლეთით, იპრ-რულერის რკინის გზიდან 2 მილით დაშორებულ ფრონტზე დილას ჩვენ იერიში მივიტანეთ. მარცხენა ფრთა დიდ ბრძოლაში ჩაება. იპრ-კომინის გზის ორსავ მხრისკენ ჩვენ წინ წავიწიეთ. ვესტჰუკის გარდა ჩვენ გლენ კორსის ტყეც დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 240 ტყვე.

ბოლგართა იერიშის მოგერიება.

ლონდონი. მკათათვის 28. ოფიციალი. სტრუმის ფრონტზე ჩვენ ცხენოსნებმა მკათათვის 22-ს ბოლგარელთა მოულოდნელი თავდასხმა კუკულკას მახლობლად მოვიგერიეთ.

ლონდონი, მკათათვის 29. ოფიციალი. გუშინ საღამოს გაგრძელდა სასტიკი ბრძოლა იმ ადგილისთვის, რომელიც დავიკავეთ ჩვენ დილით იპრის აღმოსავლეთით. მტერმა ექვსჯერ სცადა ადგილის დაბრუნება, მაგრამ ამაოდ: ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა პოზიციები და გარდა ამისა დავიპყარით ადგილი იპრ-კომინის გზის ახლოს.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. მკათათვის 29. ოფიციალი. მტერმა ორჯელ სცადა შემოტევა ბრენტესა და გორიცის მიდამოებში, მაგრამ მოვიგერიეთ ცეცხლით და თითქმის მთლიანად მოვსპეთ მტრის შემომტევი რაზმები, ხოლო გაქცეულები, რიცხვით 29 ტყვედ წამოვიყვანეთ.

გერმანელების იერიშის მოგერიება.

რომი. მკათათვის 29. ქალაქის მორის აღმოსავლეთით, და გორინის ღელეში მტრის რაზმებმა იერიში მოიტანეს. ის იყო უნდა ჩვენი მოწინავე ადგილები დაეჭირათ მაგრამ ჩვენ მოშველებულ ჯარით კვლავ უკან დავახევინეთ.

გერმანელებმა შვედელთა გემი დაღუპეს.

სტოკჰოლმი. მკათათვს 28. ინგლისისკენ მიმავალი ხე-ტყით დატვირთული შვედელთა გემი „ოტალია“ ჩრდილო ზღვაში წყალქვეშას დაეტაკა და ჩაიძირა.

აფეთქება ავსტრიელების სამხედრო საწყობებში.

სტოკჰოლმი. მკათათვის 28. კრაკოვის გაზეთების ოფიციალი ცნობით, მკათათვის 20-ს მოგილოვის რაიონში, კრაკოვის აღმოსავლეთით 7 კილომეტრზე დიდი აფეთქება მოხდა და სამხედრო საწყობები მთლად გაიწვა. მოკლულია 48 ჯარისკაცი, დაჭრილია 40.

დელეგაციის მოქმედება.

მომქმედი ლაშქარი. შავი ზღვის დელეგაცია სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს სტოვებს. იგი დამკვრელ ბატალიონების შესადგენად აგიტაციის გასაწევად რუსეთში დიდს მოგზაურობისათვის ემზადება. მათ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარში დიდი მოქმედება გამოიჩინეს. დელეგაციის წევრები გიორგის ჯვრით არიან დაჯილდოვებულნი, ხოლო თავმჯდომარე პრაპორშჩიკი ბოტკინი—წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით.

კიშინევი. მკათათვის 29. იზმაილის მიდამოებში მტრის 2 ჰაეროპლანმა 18 ყუმბარა ჩამოაგდო. მოკლულია 3, დაჭრილია 5, ერთი დედაკაცი და ოთხი ბავშვი.

ნაციონალური ჯარი.

ნიუ-იორკი. მკათათვის 28. მარიამობისთვის 19 სათვის ყველა შტატებში ნაციონალურ ჯარისთვის კონტინგენტის მესამედი იქნება მოკრებილი.

მოსაზღვრე გუბერნიების ევაკუაციის გამო.

მინსკი. მკათათვის 29. ფრონტის შტაბი და აღმ. კომიტეტი უცხადებენ მცხოვრებლებს, რომ ხმები ვითომ ფრონტის ახლო მდებარე გუბერნიების ევაკუაცია ხდებოდეს სიმართლეს მოკლებულია.

დეპუტატთა საბჭოს დელეგატები პარიზში.

პარიზი. მკათათვის 27. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს დელეგატები რუსანოვი და ერლიხი დღეს დილით იტალიიდან პარიზს ჩამოვიდნენ, აქ ისინი იტალიაში საპროპაგანდოდ მყოფ გოლდენბერგსა და სმირნოვს მოელიან.

სიკვდილის ბატალიონი

ბანაკი. მკათათვის 29. სმორგონის სამხრეთით, 28 ქვეითა დივიზის სიკვდილის ბატალიონმა, 8 და 9 მკათათვის ბრძოლაში მოიხვეჭა [illegible] დიდება. განწირული იერიშით ამ ბატალიონმა აიღო ნემეცთა ორი რიგი სანგრებისა, მაგრამ როცა ნახა, რომ დახმარება არსაიდან არის და მტრის ცეცხლი და მოზღვავებული ძალა კი უწყალოდ სცელავდ თავ-განწირულებს, მიატოვა სანგრები. ბატალიონმა დაჰკარგა 30 აფიცერი, მოკლული და დაჭრილი, ე. ი. 51 პროცენტი მთელი თვისი შემადგენლობისა; 731 ჯარისკაციდან გადარჩა მხოლოდ 357. როცა დივიზიის ერთმა პოლკმა უარი სთქვა შეტევაზე, 44 აფიცერმა და 200 ჯარის-კაცმა იმ პოლკიდამ, პოდპ. იანჩინის სარდლობით, დაიკავა პოზიცია და თვისი სიკვდილით და სისხლით აღბეჭდა სიყვარული სამშობლოსადმი. აფიცრები ვინტოვკებით ხელში წინ უძღოდნენ ჯარის-კაცებს და მხოლოდ მტრის სიმრავლემ გასტეხა გმირთა თავ გამოდება.

ადესის ევაკუაციის გამო.

ადესა. მკათათვის 27. გამოქვეყნებულ იქმნა საოლქო შტაბის შემდეგი განცხადება:—„ბოლო დროს ადესელებს შორის საშიში ხმები დადის. ვრცელდება ჭორები, ვითომც ადესას გერმანელებისაგან საფრთხე ელოდეს და ვითომც ადესის ევაკუაცია უნდა მოხდეს ამ დღეებში. საოლქო შტაბი კატეგორიულად აცხადებს, რომ ადესას მტრის შემოსევა არ ელის და ამიტომ არავითარი ევაკუაციაც არ მოხდება. თუმცა რამოდენიმე დაწესებულება გადატანილ იქნა რუსეთის შიდა გუბერნიებში, მაგრამ ეს ზომა მხოლოდ იმიტომ არის გამოწვეული, რათა რაც შეიძლება მეტი ბინები იქნას განთავისუფლებული სამხედრო საჭიროებისათვის. ჭორები ქალაქში ამიტომ ვრცელდება, რომ მცხოვრებლებს არ აქვთ ფრონტიდან დანამდვილებითი ცნობები, და მით არ იციან რა ხდება ბრძოლის ველზე.

ბონის უნივერსიტეტის პროფესორთა აზრი ზავზე.

სტოკჰოლმი. მკათათვის 25. ბონის უნივერსიტეტის პროფესორებმა და დოცენტებმა გერმანიის საზავო წინადადებების წინააღმდეგ პროტესტი გამოაქვეყნეს. ისინი ამტკიცებენ, რომ საჭიროა მტკიცედ მხარი დაუჭიროთ რუსეთის სახელმწიფოს კონსტიტუციონურ მონარქიულ საფუძვლებს და გერმანეთის იმპერიის ფედერატიულ ხასიათსაო.

რუმინეთის სასახლის და მმართველობას რუსეთში გადმოყვანას უპირებენ.

პეტროგრადი. მკათათვის 29. ფრონტზე მდგომარეობის გამწვავების გამო რუმინეთის სახლის და მმართველობის [illegible] სამხ[illegible] და პოლიტიკურ წრეებში იმედს გამოსთქვამენ, რომ მოკავშირეთ რუსეთში დიდის სტუმარმოყვარეობით და პატივისცემით შეეგებებიან. ამით რუმინელებთან კავშირი უნდა განმტკიცდესო. პეტროგრადის ოფიციალი წრეები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ უკანასკნელ დღეებში გავრცელებულ ხმებს, ვითომც რუსები მტრულად უყურებდნენ რუმინელებს. ჰგონიათ, რომ ამ ხმებს მტრები ავრცელებენ.

დელეგატების გაგზავნა სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

ლონდონი. მკათათვის 28. ბრიტანეთის კონფერენციაზე დელეგატების გასაგზავნად რეზოლუცია 1.840,000 ხმით (მოწინააღმდეგე 555,000) იქმნა მიღებული საღამოს ვესტმინსტერგოლდში ნაციონალური დემონსტრაცია გაიმართა. დემონსტრაცია პროტესტს აცხადებდა ბრიტანელ დელეგატების სტოკჰოლმში გერმანელ დელეგატებთან შეხვედრაზე. დემონსტრაციას მრავალნი თანაუგრძნობენ. ტრედიუნიონების ფედერაციის სეკრეტარ აპლტონმა გერმანელთა ბრიტა[illegible] დელეგატების შეხვედრაზე (ვიდრე მტრის მოკავშირეთა ტერიტორია [illegible]) [illegible] 760 წინა [illegible].

ამერიკის ჯარის რუსეთში გაგზავნის წინააღმდეგნი.

ნიუ-იორკი. მკათათვის 29. „ასოსიეტედ-პრეს“-ი უწყებს, რომ რუსეთის მხის წრეები ამერიკელთა ჯარის რუსეთში გაგზავნაზე წინააღმდეგნი არიან.

უკრაინიზაცია რუმინეთის ფრონტზე.

ოდესა. მკათათვის 29. ოდესის სამხედრო ოლქის შტაბმა რუმინეთის ფრონტზე უკრაინიზაციის შესახებ მინისტრის განკარგულება მიიღო.

სასურსათო საქმე გერმანიაში.

ციურიხი. მკათათვის 28. გაზეთი „ციტი“ ბალკეანე გადაღებულის გამო სწერს:—სურსათო საკითხის გადარჩა გერმანიაში შეიძლება სურსათის სწორი განაწილებით და ტრანსპორტის გაუმჯობესებით. მალე დადგება ისეთი დრო, როდესაც განსაწილებელი და განსატანი აღარაფერი აღარ იქნება. მუშა ხელის ნაკლებობა ისეთნაირ [illegible] მდგომარეობას ჰქმნის, რომლიდან ვერავითარი ბატონკაცი თავს ვერ დააღწევს.

დეზერტირების გამოცხადება.

მოსკოვი. მკათათვის 29. მოსკოვში თავის ნებით გამოცხადნენ 3262 დეზერტირი, რომელნიც ფრონტზე გაიგზავნენ. ამათ გარდა თავიანთ ნაწილებში დაბრუნდნენ 1900 დეზერტირი.

გერმანელთა შტაბის ცნობა

აღმოსავლეთის ფრონტზე გამარჯვება (მკათათვის 18)

გენერალ-ფელდ-მარშალ პრინც ლეოპოლდ ბავარიელის ფრონტზე. გენერალ-პოლკოვნიკ ბემ-ერმოლის ჯგუფის წინსვლამ აღმოსავლეთ გალიციაში და ბუკოვინაში ჩვენსა და მოკავშირეთა ჯარს ახალი გამარჯვება მოგვიპოვა. ჩვენი და ავსტრიელების ჯარი გუსიატინის ზევით და სკალას სამხრეთით 50 კილომეტრზე მრავალ ალაგას გადავიდა მოსაზღვრე მდინარე ზბრუჩზე. [illegible] ჯარი კვლავ [illegible]. როგორც მკათათვის [illegible], ისე ახლაც დიდი წინააღმდეგობით [illegible] რუსის ჯარის ძლიერ იერიშებს [illegible] მტრის [illegible]. [illegible] მტრის ასპარეზები დნესტრისა და პრუტის შუა. მოკავშირეთა ჯარმა [illegible] ადგილები დაიჭირა.

ერც ჰერცოგ იოსების ფრონტზე

ვიშნიცის [illegible] გერმანელ ჯგუფებმა რუსის მოწინავე ასპარეზები გაარღვიეს. რუსებმა ჩრდილოეთში დაცალეს და აღმოსავლეთისაკენ დაიხიეს. ტყიან კარპატებში [illegible] სერეტის სათავეში და აგრეთვე მოლდავიაში [illegible] ჩვენ აღმოსავლეთისაკენ წინ წავიწიეთ და მნიშვნელოვანი ადგილები დავიჭირეთ. რუსებმა მოწინავე ასპარეზების [illegible] მთებიდან მტერი იერიში განაგრძობს. სამხრეთით ერთ ჩვენ პოზიციებზე მტრის ძლიერ შემოტევა უკან დაიხია.

გენერალ-ფელდმარშალ ფ. მაკენზენის ფრონტი და მაკედონიის ფრონტი უცვლელადაა.

რევოლუცია

დეპეშები

კომიტეტების შეერთებული სხდომა

პეტროგრადი. მკათათვის 25. (დაგვიანებულია) ღამის პირველ საათზე დაიწყო ცენტრალ კომიტეტების შეერთებული სხდომა. ილაპარაკეს სოციალისტ-მინისტრებმა. სკობელევმა აღნიშნა ის დაბრკოლებები, რომლებთანაც გმირული ბრძოლა მოუხდა კერენსკის. მან იმედი გამოსთქვა, რომ მთავრობა იხსნის რუსეთის რევოლუციას და ვისთვისაც რუსეთი ძვირფასია იგი მთავრობას გვერდით ამოუდგება და ენერგიულ დახმარებას აღმოუჩენსო.

ილაპარაკეს აგრეთვე პეშეხონოვმა, ავქსენტევმა, ჩერნოვმა და ყოფილმა მინისტრმა წერეთელმა, რომლის ლაპარაკით გამოსვლამ თავრიდის სახელეში ჯერ არ ნახული ოვაცია მოიწვია. წერეთლის შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერების და მენშევიკების ფრაქციის სახელით დანმა რეზოლუცია წარმოადგინა. რეზოლუცია მოუწოდებს მთლად რუსეთის [illegible] და დემოკრატიის მთავრობის დახმარების აღმოსაჩენად. რეზოლუცია მოითხოვს აგრეთვე ყველა საბჭოებს, [illegible] და სოფლის ორგანიზაციებს, რომ ისინი [illegible] დარაზმდნენ [illegible] რუსეთის რევოლუციას.

კერენსკის განცხადება გლეხთა აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე

პეტროგრადი. მკათათვის 25. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე კერენსკიმ მოკლე სიტყვით აღნიშნა, რომ მან რევოლუციონურ [illegible] ნებით იკისრა [illegible] მოვალეობა—ხსნა რუსეთისა და მისი ნების ყოფის გამოხატვა. მინისტრ-თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ [illegible] მთავრობა, იმისდა მიუხედავად, რომ მასში მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ მონაწილეობას [illegible] თავის დანიშნულებას [illegible] ასრულებს. დასასრულ კერენსკიმ განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრება რომლისთვისაც მთავრობა [illegible] მისი საკითხს [illegible] სასურველად გადასწყვეტს. კერენსკიმ სთქვა აგრეთვე, რომ მას მხოლოდ

ერის კეთილდღეობა აქვს მიზნად და იგი იქნება სამუდამოდაც.

ყაზახთა კონფერენცია.

ნოვოჩერკასკი. 23 მკათათვეს ყაზახთა კონფერენციაზედ ჩამოვიდნენ ურალისა და ასტრახანის ყაზახთა წარმომადგენელნი. რუსეთის დღევანდელ მძიმე მდგომარეობის შესახებ, ყაზახობამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუციები: 1) დადგა დრო განვაცხადოთ, რომ რუსეთის მოქალაქეებმა უნდა იხსნან სამშობლო დაღუპვისაგან, რადგანაც სამშობლოს დაღუპვას მოჰყვება რევოლუციის დაღუპვაც. 2) რუსეთის ხსნა შეუძლიან მხოლოდ ძლიერ ნაციონალ მთავრობას, აღჭურვილს განუსაზღვრელი უფლებებით. 3) იმედი და სიამაყე რუსეთისა, ჯარი, ლუპება, გახრწნილი და მოტყუებული გამცემლებისა და მოღალატეებისაგან. საჭირო თხოულობს, რომ აღდგენილ იქმნას სასტიკი დისციპლინა ფრონტზე და ზურგში, პირშეუბრუნებლად სრულდებოდეს საბრძოლო ბრძანებანი. არც ერთი სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ ერეოდეს სარდალთა მოქმედებაში. 4) ყაზახები წინააღმდეგნი არიან, რომ გაყვანილ იქმნას რაიმე ძირითადი რეფორმები მიწისა თუ სხვათა შესახებ დამფუძნებელ კრებისგან გადაუწყვეტლად. 5) მიეცეს არჩევნების უფლება დამფუძნებელ კრებაში ფრონტზე და ზურგში მყოფ ყაზახებს ერთად თავ-თავიანთ ოლქებთან. გადაიდვას არჩევნები, რადგანაც 17 სექტემბრისათვის შეუძლებელია მათი მოწყობა. დამფუძნებელი კრება გაიმართოს მოსკოვს.

გამოძიება.

კიევი. მკათათვის 29. სამხედრო და სამოქალაქო მთავრობა ენერგიულად განაგრძობს გამოძიებას შესახებ იმ შეტაკებისა, რომელიც მოხდა უკრაინელთა და კირასირებს შორის, გამოძიება გასტანს 2—3 დღეს. ბოღდანის პოლკიდან მოკლულია 16 ჯარისკაცი, 30 დაჭრილი. კირასირებიდან დაჭრილია 2. საზოგადო რიცხვი დაზარალებულთა ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი.

ყალმიკების დადგენილება

ნოვოჩერკასკი. მკათათვის 29. ყაზახთა კონფერენციამ იქონია მსჯელობა შესახებ ყალმიკების იმ დადგენილებისა, რომ ყალმიკები მიღებულ იქმნენ ყაზახთა ჯარებში. კონფერენციამ სასურველად სცნო ასტრახანისა და სტავროპოლის ყალმიკების მიღება ყაზახთა ჯარებში და მიანდო მათ თვით შეიმუშაონ ფორმა და დრო ამ შეერთებისა.

პროექტი ჯარიმების შესახებ.

პეტროგრადი. მკათათვის 29. შრომის სამინისტროს შეუდგენია პროექტი შესახებ იმ ჯარიმებისა, რომლებსაც ახდევინებენ ქარხნებში. პროექტით ჯარიმები უნდა გადაეცეს იმ საავადმყოფოთა კასებს, რომლებიც არსებობენ ქარხნებთან და მოხმარდეს თვით მუშათა საჭიროებებს.

მოსკოვის ყრილობა.

პეტროგრადი. მკათათვის 29. მთავრობამ გადასწყვიტა მოსკოვის ყრილობა მოწვეულ იქმნეს. მოწვევის დღე დანიშნულია 10—11 მარიამობისთვე. ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებს 2000-მდე კაცი.

ყაზახთა სამხედრო მამასახლისის მოწოდება.

ნოვოჩერკასკი. მკათათვის 28. დონის ყაზახების მამასახლისმა შემდეგი მოწოდება გაუგზავნა რუსეთის ყაზახების ნაწილებს:—რთულს და საშინელ წუთს განიცდის რუსეთი. რუსეთის რამოდენიმე არმია სასტიკად დაამარცხა მტერმა და ამითი რუსეთს ახალი უბედურება ეწვია. შეიძლება მტერმა კვლავ დაამარცხოს ჩვენი ჯარი და ჩვენ სანხრეთ ნაწილებში ღრმად შემოიჭრას. ამჟამად რუსეთის სახელოვანი შვილები თქვენა ხართ და თქვენ მოგიხდებათ სასტიკი ბრძოლა სამშობლოს მოღალატეებთან. მე მოგიწოდებთ, რომ თქვენ დაადგეთ სამშობლოს ხსნის გზას. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ დონის ყაზახობა თქვენთან იქნება.

დამფუძნებელ კრებისათვის.

პეტროგრადი. მკათათვის 26. (დაგვიანებული). დამფუძნებელ კრებისათვის დაარსებულმა საგანგებო საბჭომ მიიღო ცოტაოდენის ცვლილებით წინადადებანი კომისიისა, რომ ციმბირის, შუა აზიის გუბერნიებში და აზიის რუსეთში არჩევნების მოწყობა დასრულდეს 15 დღის განმავლობაში. ევროპის რუსეთში გამონაკლისს შეადგენენ არხანგელსკისა, ვოლოგდის და ოლონეცის გუბერნიები. ჩრდილო კავკასია შეადგენს ორს ოლქს. სდგება საგანგებო ოლქი რუსთა მოსახლეობისათვის ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის ლიანდაგის ზოლში.

მთიელებმა უნდობლობა გამოუცხადეს ოლქის კომისარს.

დილიჯანი. მკათათვის 26. გაერთიანებულ მთიელთა ცენტრალმა კომიტეტმა უნდობლობა გამოუცხადა საოლქო კომისარს, რომელმაც დროებით თანამდებობას თავი დაანება.

რუსი პროფესორები უკრაინელთა წინააღმდეგ.

კიევი. მკათათვის 25. წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის პროფესორებმა პროტესტი გაუგზავნეს დროებით მთავრობას რუსული კულტურის უკრაინიზაციის გამო, რაც რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესების წინააღმდეგია.

ხალხის თავისუფლების პარტიული ყრილობა.

პეტროგრადი. მკათათვის 27. ხალხის თავისუფლების პარტიულ ყრილობაზე მკათათვის 26-ის სხდომა მიმდინარე მომენტის და მილიუკოვის მოხსენების შესახებ მსჯელობას მოანდომეს. მილიუკოვმა განაცხადა, რომ პარტიათა წარმომადგენლებს მთავრობის კომბინაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ და გაგზავნეს, ისინი, ვისაც კერენსკი მოითხოვდა, კოკოშკინის გარდა. დასასრულ, მილიუკოვმა აღნიშნა, რომ კერენსკის მოქმედება დიდს ქებას იმსახურებსო.

ბოლშევიკ რედაქტორის დაპატიმრება

ცარიცინი. მკათათვის 28. თანახმად ბრძანებისა პეტროგრადიდან დახურულ იქნა ადგილობრივი ბოლშევიკური გაზეთი „ბორბა“, ხოლო მისი რედაქტორი დაპატიმრებული იქნა.

ეროვნული საკითხი

უკრაინელ და რუს ჯარის კაცთა შეტაკება.

კიევი. მკათათვის 27. (დაგვიანებული). ფრონტზე მატარებლით გაგზავნილ იქმნა 1-ლი და 2 ეშელონები უკრაინელ ბოგდან ხმელნიცკის პოლკისა. სადგურ „კიევის“ ახლოს უკრაინელებმა უმიზეზოდ აუტეხეს სროლა კირასირებს, რომელნიც რკინის გზას სდარაჯობდნენ. სროლას კირასირებმაც სროლითვე უპასუხეს. ვოლინსკის სადგურთან აჯანყებულები შეხვდნენ კირასირების პოლკს, რომელიც გაფრთხილებულ იქმნა წინდაწინვე კიევიდან. უკანასკნელები გარს შემოერტყნენ ბოგდანოველების მატარებელს და დამორჩილება უბრძანეს. ბოგდანელებმა დამორჩილებაზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ კირასირებმა ტყვიისმფრქვეველები მოიხმარეს და აჯანყებულნი იძულებულყვეს დანებებოდნენ. რამოდენიმე მათგანმა გაქცევით თავს უშველა. დღეს კიევში მოიტანეს მატარებლით 14 მკვდარი. ფიქრობენ, რომ ორთავე მხრით დაჭრილი და დახოცილი უდრის 50.

უკრაინის ცენტრალი რადის მოწოდება.

კიევი. მკათათვის 29. უკრაინის ცენტრალი რადის კომიტეტმა კიევის მცხოვრებლებს და მთელ უკრაინას მოწოდებით მიმართა. აუწყებს ამ სამწუხარო მოვლენას, რომელმაც გამოიწვია სისხლის ღვრა ორი მოძმე ხალხის ჯარის კაცებისა, აცნობებს, რომ კონტრ-რევოლუციონური ძალები სარგებლობენ მძიმე მდგომარეობით და აშკარად ღვივებენ ეროვნულ შუღლს. კომიტეტი აცხადებს, რომ, თანახმად ცენტრალ რადის დადგენილებისა, დაარსებულია გამომძიებელი კომისია, რომელშიაც შევლენ არა უკრაინელ რევოლუციონური ორგანიზაციები და დავალებული აქვს საქმის გამორკვევა. კომიტეტი მცხოვრებლებს მოუწოდებს მშვიდობიანობის დაცვას იმ იმედით, რომ დამნაშავენი დასჯილნი იქნებიან, ხოლო უდანაშაულო დაღუპულთა ცოლშვილი მატერიალურით უზრუნველყოფილნი იქნებიან.

გამომძიებითი კომისიის მოქმედება.

კიევი. მკათათვის 29. მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ სწარმოებს პარალელური გამოძიებანი ცენტრალ რადის, მუშათა და ჯარის კაცთა და რევოლუციონური ორგანიზაციების მიერ. მრავალი წყაროებიდან დამტკიცებულ იქნა, რომ სისხლის ღვრაში ბრალი უდევს ეროვნულ შუღლს. გამოძიება ჯერაც არ დამთავრებულა.

ფინლიანდიის დემოკრატიული ორგანოების პასუხი

ჰელსინგფორსი. მკათათვის 29. შეერთებულმა ყრილობამ ჰელსინგფორსის ფლოტის და მუშათა დემოკრატიულ ორგანოებისამ, მოისმინა რა დეპეშა დეპუტატთა საბჭოების ცენტრალი კომიტეტისა, დაადგინა, რომ მინისტრი სოციალისტები არიან პასუხისმგებელი ორგანოები თავიანთ მოქმედების შესახებ. ყრილობა მოითხოვს სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებთან და დარწმუნებულია, რომ დროებითი მთავრობა ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას და სამშობლოს იხსნის დაღუპვისაგან.

სავტონომიო კრება

კიევი. მკათათვის 30. საერთო კრება რუსეთის იმ ერთა წარმომადგენლებისა, რომლებიც ესწრაფიან მოაწყონ რუსეთი ავტონომიურ ფედერატიულად, საბოლოოდ გადაწყვეტილია კიევში 15 აგვისტოსათვის. კრებას იწვევს უკრაინის ცენტრალი რადა. კრებაზე მოწვეულია თანასწორი რიცხვი ერთა წარმომადგენლებისა, მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა, მცხოვრებთა რაოდენობისა და მათ ეროვნულ-კულტურულ განვითარებისა. ოლქებმა და პარტიებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კრებაზედ, უნდა მიმართონ პირდაპირ უკრაინის ცენტრალ რადას.

ლატვიის ავტონომია

რიგა, მკათათვის 29. ლატვიის ავტონომიის შესახებ მუშათა წარმომადგენელთა რიგის საბჭომ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: 1) შედგენა ერთიანი განუყოფელი ლატვიისა (ლატველთა ნაწილი ლიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიებისა), როგორც პოლიტიკურ ავტონომიურ ოლქისა; 2) მთელი ადგილობრივი სამეურნეო, პოლიტიკური და საადმინისტრაციო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს ლატვიის სეიმს, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და დაფარული პროპორციული, განურჩევლად სქესისა, ხმის მიცემით; 3) ტერიტორიული საზღვრები ლატვიისა რუსეთის მოსაზღვრე ოლქებთან განისაზღვრება თვით ამ ოლქების მცხოვრებთაგან.

რუსეთი და უცხოეთი

დიდი მიწის-ძვრა

ლონდონი. მკათათვის 24. ველინგტონიდან (ახალი ზელანდია) იტყობინებიან, რომ ჩრდილო-კუნძულის სამხრეთ ნაწილში მოხდა მიწის-ძვრა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა მცხოვრებლებს, მეტადრე ვაირარაპის ოლქში.

ქალაქის თავის არჩევა.

ბორისოგლებსკი. მკათათვის 26. (დაგვიანებული). ქალაქის თავად არჩეულია ცნობილი სარევოლუციო მოღვაწე, მიაგკოვი, რომელიც 1905 წელს სათავეში ედგა „კოლოკოლის“ გამოცემას.

ადლერის ავადმყოფობა

სტოკჰოლმი. მკათათვის 28. ვენიდან იტყობინებიან, რომ ადლერი ავად გახდა ფილტვების ანთებითაო.

არგენტინის მთავრობის ნოტა.

ნიუიორკი, მკათათვის 24. არგენტინის მთავრობამ რომ ვერაფერი დაკმაყოფილება მიიღო. გერმანიის ელჩთან მოლაპარაკებით კავშირი შესწყვიტა მასთან, და ნოტა გაგზავნა ბერლინს, რომ ერთი კვირის განმავლობაში მოგვეცით გარკვეული და გადაწყვეტილი პასუხიო.

უკანასკნელი დეპეშები

მიღებულ დროებით მთავრობის დადგენილებით, უფლება ეძლევა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებს ყრილობის და კრებების დახურვისა. ფიქრობენ, რომ ეს ზომა გამოწვეულია პეტროგრადში ბოლშევიკების კრების გამო, თუმცა ჯერ ჯერობით ამ კრების წინააღმდეგ არავითარი რეპრესიები არ მიუღიათ.

—

ბოლშევიკების ყრილობის სხდომები იმართება პეტროგრადში განაპირა უბანში, თუმცა სად, დანამდვილებით არვინ იცის. მოსმენილ იქნა ლენინის მოხსენება.

—

პეტროგრადში იმყოფება უკრაინის ცენტრალ რადის დელეგაცია ვინიჩენკოს მეთაურობით. იმსჯელებს ავტონომიის პროექტის შესახებ, რომელიც დროებითი მთავრობის იურიდიულმა სხდომამ შეიმუშავა. თანახმად ამ პროექტისა გენერალური სეკრეტარიატი ითვლება დროებით მთავრობის უმაღლეს ორგანოთ. ის შესდგება 14 მდივნისაგან. ის აწვდის დრ. მთავრობას კანონებს დასამტკიცებლად. ასეთი პროექტით უკრაინის დელეგაცია არ არის კმაყოფილი.

—

კადეტები ცდილობენ დამფუძნებელ კრების გადადებას, რადგან, როგორც ისინი ამტკიცებენ, ენკენის თვეში ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო კრების მოწვევა შეუძლებელიაო.

—

გამოირკვა, რომ რუსებსა და ხმელნიცკის სახელობის უკრაინელთა პოლკის შორის მომხდარ შეტაკებაში პირველად სროლა უკრაინელებს აუტეხიათ. თურმე უკრაინელებს კიევში დარჩენას შეპირდნენ და ფრონტისაკენ გამგზავრებამ ისინი მეტის მეტად ააღელვა.—უკრაინის ცენტრალ რადის თავმჯდომარე ვინიჩენკოსთვის კორნილოვს დაუვალებია, შეტაკების ყველა მხრივ გამოძიება და თუ დამნაშავეთ უკრაინელები იქნეს, პოლკს დაშლიან და უკრაინიზაციასაც შესწყვეტენ. ამის გამო ცენტრალ რადის მიერ მიღებულ რეზოლუციით, კიევის სამხედრო ოლქის მთავარი უფროსი ობერუჩევი უნდა გადაყენებულ იქნას. ბოგდან ხმელნიცკის სახელობის პოლკი ფრონტზე კი არ გაიგზავნება, არამედ კიევში დარჩება ქალაქის დამცველი პოლკები დაუყონებლივ უნდა „წავიდნენ კიევიდან.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ქალაქის არჩევნები.** მკათათვის 30 ს ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები დასრულდა და ნომრების დათვლას გუშინ (მკათათვის 31-ს) შეუდგნენ. არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა, დაწვრილებითი ანგარიში არჩევნებისა (რომელი პარტიის რამდენი კანდიდატი გავიდა ხმოსნად) სახვალიო ნომერში იქნება დაბეჭდილი.

◆ **ვარ. ჩერქეზიშვილის ლექციები.** ინგლისიდან საქართველოში დაბრუნებული ვარ. ჩერქეზიშვილი, რამდენიმე ლექციის წაკითხვას აპირებს. პირველი ლექცია წაკითხულ იქნება მარიამობისთვის 4-ს „ქართულ კლუბის“ სახაფხულო ბინაზე შემდეგ თემაზე: „ევროპა ეხლანდელ მომენტში და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“.

◆ **ფულის შეგროვება.** სალდათთებისა და მუშების დეპუტატთა საბჭომ დაადგინა მოაწყოს ერთ დღეს საყოველთაოდ ფულის შეგროვება ყუთებით. შეგროვილი ფული გადაიდება დეზერტირების დაჭერის დროს დახოცილ ჯარის კაცთა პეტროვისა და ასატუროვის ოჯახების სასარგებლოდ.

◆ **ამიერ-კავკასიის კომისრად** დროებითი მთავრობის კომისარიატმა დანიშნა გ. პ. მელიქ-კარაკოზოვი, რომლის მოვალეობა იქნება მზრუნველობა გაუწიოს სათადარიგო ჯარის კაცთა მოლეშქრეთა ოჯახებს.

◆ **სამადლობელი პარაკლისი.** ხუთშაბათს, მარიამობისთვის 3, შუადღის 12 საათზე, საქართველოს პატრიარქის მოსაყდრე ყოვლად სამღვდელო ლეონიდე თბილისის სამღვდელოების თანამწირველობით სიონის ტაძარში გადაიხდის სამადლობელო პარაკლისს საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის ძირითად დებულებათა დამტკიცების გამო.

◆ **უპურობა თბილისში.** მკათათვის 31-ს ფურნეებთან დილიდანვე უპურებელი ხალხი შეგროვდა და გძელი კუდები გაკეთდა. ყველანი პურის გამოცხობას და ყიდვას უყურებდნენ. პურის სიმცირე გამოიწვია მეთონეების გაფიცვამ, რომელნიც პურის ნიხრის გადიდებას თხოულობენ რამდენიმე კაპეიკით. ფქვილი საკმაოდ აქვს სასურსათო კომიტეტს, მაგრამ მეფურნეები ყველასათვის საკმაო პურის გამოცხობას ვერ ასწრებენ. მე-11 რაიონის სასურსათო კომიტეტი გაჭირვებიდან თავის დასახწევად თვითონვე შეუდგა პურის ცხობის მოწყობას ნაძალადევში!

◆ **სურსათი.** სასურსათო კომიტეტმა მიიღო მკათათვის 30-31-ს 12 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი შაქარი.

◆ **ახალი კოოპერატივი.** დ. კახელების თაოსნობით თბილისში არსდება ამხანაგობა, რომელიც ფურნეების მოწყობას აპირებს თბილისის განაპირა უბნებში.

◆ **ქურდობა.** მკათათვის 30-ს, ღამით, გრიბოედოვის ქუჩაზე გაქურდეს გ. ი. ამირაჯიბის ბინა. წაუღიათ ქურქი, რომლის ჯიბეში ფულიანი პორტმანე და საქმის ქაღალდები ყოფილა.

◆ **ივანე გომართელმა** გაზეთ „ალიონში“ დაიწყო თანამშრომლობა.

◆ **მისალოცი დეპეშები.** ამიერიდან მისალოც დეპეშებზე სიტყვაზე 30 კაპ. აიღებენ.

◆ **დამღრჩვალი ქალი.** მუხრანის ხიდის ქვეშ იპოვნეს თოკით დამხჩვალი ქალის გვამი, შეხედულობით 28—30 წლისა. დამღრჩვალს პირში ჩაჩრილი ჰქონდა ქაღალდი ზედწარწერით: „ხმა მიეცით № 1-ს“.

◆ **მარცხი ავტომობილისაგან.** მკათათვის 31-ს, დილის 4 საათზე, ვერის მხრიდან გაშმაგებით მოქროდა გაუნათებელი სამხედრო ავტომობილი, ხუთი მგზავრით. მილიციონერმა ავტომობილის გაჩერება მოიწადინა, მაგრამ შოფერმა ყურადღება არ მიაქცია. ავტომობილი გაბაშვილის შესახვევთან ელექტროს ბოძს დაეტაკა და დაიმტვრა. მგზავრები ავტომობილიდან ქვაფენილზე გადაცვივდნენ და ძალზე დაშავდნენ. ისინი ყველა საავადმყოფოში გაგზავნეს.

კავკასია

◆ **ზრუნვა მოსალოდნელ გადმოხვეწილთათვის.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი იმ აზრისა არის, რომ ჩრდილო კავკასიაში ბევრი გადმოხვეწილი მოიყრის თავს, დასავლეთ ფრონტიდან ლტოლვილნი. კომიტეტი ეხლავე შეუდგა თადარიგს გადმოხვეწილთა დასახვედრად და 600 ათას მანეთს სთხოვს გადმოხვეწილებზე მზრუნავ ცენტრალ კომიტეტს.

◆ **კავკასიის მხედრობის შტაბს** განმარტება მოუვიდა, რომ კანონი შესახებ 43 წლისაზე ხნოვან ჯარის კაცების განთავისუფლებისა სამხედრო ბეგარისაგან არ ვრცელდება აფიცრებზე და სამხედრო მოხელეებზეო.

◆ **მოსალოდნელი დიდი გაფიცვა.** ბაქოდან დეპეშით აუწყებენ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ რადგან მუშებსა და მეწარმოებლებს შორის შეთანხმება არ მოხდა, მუშათა შორის მღელვარებამ იჩინა თავი, მოსალოდნელია დიდი გაფიცვაო. საგანგებო კომიტეტმა ეს ამბავი შრომის მინისტრს სკობელევს შეატყობინა და აგრეთვე მომრიგებელი კამერა დაიბარა თბილისში გაფიცვის აცილებისათვის ღონისძიებათა გამოსაძებნად.

◆ **43 წლოვან სალდათის განთავისუფლება სამსახურიდან.** როგორც სამხედრო შტაბმა განმარტა, სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლდება ის 43 წლოვანი ჯარის კაცნი, რომელნიც 1895 წელს იყვნენ გასაწვევი, მაგრამ სამსახური დაიწყო 1896 წელს. აგრეთვე განთავისუფლებულ იქნებიან პირველ ღვინობისათვის ის 43 წლიანი ჯარის კაცნი, რომელნიც გასაწვევნი იყვნენ 1895—1896 წლებში, მაგრამ სამსახური დაიწყეს 1896—1897 წ.

◆ **საქონლის ჭირი.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ატყობინებენ, რომ სოხუმის ოლქში საქონლის ჭირი მძვინვარებს და მშველელი არავინ არისო.

საქართველო

◆ **ცეცხლის ჩაქრობა.** გლეხთა კავშირის დეპეშით ატყობინებენ ბორჯომიდან: ბორჯომის ხეობის ტყეებში გაჩენილი ცეცხლის მძვინვარება შევასუსტეთ ადგილობრივი ძალების საშუალებით. ცეცხლი აღარ ვრცელდება. რკინის გზის ბატალიონის დახმარება საჭირო აღარ არის. დაიწვა 5 დესეტინა ტყე. ცეცხლის გაჩენის მიზეზები ირკვევა.

◆ **საჭიროა გადამწერლები.** დამფუძნებელ კრებისათვის აღწერის მოსახდენათ თბილისის გუბერნიაში საჭირონი არიან გადამწერლები (ვაჟები და ქალები) უპირატესობა სტუდენტებს და აღწერაში დახელოვნებულ პირებს მიეცემათ. მსურველთ ჩაწერა შეუძლიათ „საქართველოს“ კონტორაში.

ქუთაისი.

◆ **გაფიცვა.** ქუთაისში აღარ მუშაობენ მედროგეები, მედროგეების სასურსათო კომიტეტმა ამას წინათ ძველ ნიხრზე 35 პროც. მოუმატა, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ და გაფიცვას განაგრძობდნენ.

◆ **ჩხრეკა-ძებნა.** ქუთაისში დეზერტირებს დაეძებდნენ და ამისთვის დიდი ჩხრეკა ძებნა ყოფილა. დაუჭერიათ 1000 კაცი, რომელთაგან 500 კაცი მალე გაუნთავისუფლებიათ.

◆ **გაფიცვა.** ქუთაისის სახოფლო სამეურნეო აღწერაში მონაწილეობის მიმღებმა ახალგაზრდებმა, აღმწერის გამგეს მოთხოვნილება წარუდგინეს, მაგრამ ვინაიდგან დაკმაყოფილებულნი არ იქმნენ, გაფიცვა მოახდინეს და ადგილები ბოიკოტის ქვეშ გამოაცხადეს.

◆ **გრ. გიორგაძის შეურაცხყოფის მიყენება.** გუშინ პუშკინის ქუჩაზე გზის საკირწყლავად მომუშავე სპარსელებთან რამდენიმე ჯარის კაცს ჩხუბი მოუვიდა. ამ დროს ეტლით ჩამოიარა გუბერნიის კომისარმა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ და ჯარის კაცებს წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა. ჯარის კაცებმა კომისარს ეტლი გააჩერეს და მას სიტყვით და ხელით შეურაცხყოფა მიაყენეს. მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს განკარგულებით საჩქაროთ შეეპყრას ურჩი ჯარის კაცნი [illegible] და სატუსაღოში გაგზავნა.

◆ **ამინდი.** ქუთაისში ძლიერი სიცხეები დაიკავა.

◆ **დამფუძნებელი კრებისთვის.** ცენტრალი კომისია, რომელიც დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსამზადებლად მუშაობს დეპეშით აუწყებს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს, რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს გუბერნიაში, რაიონებში და სოფლის საზოგადოებებში.

◆ **შავი ქვის მრეწველთა კრება.** შავი ქვის მრეწველთა მე-19 ჩვეულებრივი კრების მოწვევა მდგომარე წლის 30 სექტემბერს განზრახულია. ამ სოფის შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო სთხოვს შავი ქვის მრეწველთ ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ იმ კითხვების სია, რომელთა შეტანაც კრების პროგრამაში სასურველად მიაჩნია.

◆ **უწესობა აგრარულ ნიადაგზე.** პოლკოვნიკ სვიმონ მიქელაძის ქვრივს სოფ. ქუტირში წაართვეს 21 ქცევა სახნავ-სათესი მიწა.

◆ **განკარგულება.** სასურსათო სამინისტროს განკარგულებით ქუთაისის გუბერნიაში ახლავე უნდა დაიწყოს პირნახულის მოგროვება და მისი რაოდენობის გამოკვლევა. სამინისტრო აგრეთვე იტყობინება, რომ ის პირები რომლებიც პირნახულის მოგროვების დროს უწესობას მოახდენენ, კანონის ძალით სასტიკად დაისჯებიან.

◆ **სვანეთის საქმეები.** ქუთ. გუბერნ. აღმ. კომიტეტმა ივლისის 26-ს სხდომაზე დაადგინა: გაიგზავნოს სვანეთში პოლიტიკურ პარტიებისა და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს წარმომადგენლები. ეროვნ. დემ. პარტიისაგან სვანეთში დანიშნულია ბ. ალ. თორაძე.

◆ **ცეცხლი და უწესობა სვანეთში.** საგუბერნიო აღმ. კომიტეტს დეპეშით ატყობინებენ, რომ სვანეთში დიდი ცეცხლი გაჩენილა. ნადგურდება ტყეები და სახლები. აგრეთვე სვანებს გაურეკიათ მეზობელ მცხოვრების საქონელი. სვანეთიდან ითხოვენ საჩქაროდ დახმარებას.

◆ **შუამდგომლობაზე უარის თქმა.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს აგენტი ხოხოლენკო სთხოვდა, რომ მისთვის ნება დაერთოთ დაეწყო მდ. [illegible] ექსპლოატაცია. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა თხოვნა არ შეიწყნარა.

—

შეცდომის გასწორება.

გაზეთ „საქართველოს“ მე-164 ნომერში დაბეჭდილი წერილი „რუსეთი და ევროპა“ ბატ. კოწია გამსახურდიას არ ეკუთვნოდა.

გადმოსახლებულ რუსების აყრა

გადმოსახლებულ რუსების ყრილობას მუღანიდან აყრა დაუდგენია. ამ საქმის გამო ამიერ-კავკასიის გლეხთა საოლქო ცენტრმა საგანგებო კომისიის შედგენა დაადგინა. ამ კომისიაში შევლენ წყლის კომისიის, ოლქის სასურსათო სამმართველოს, საადგილ მამულო კომისიის და გლეხთა საოლქო ცენტრის წარმომადგენლები. ამ საგანგებო კომისიას გადმოსახლებულ რუსთა მუღანიდან აყრის ყოველ მხრივ აწონდაწონვა ევალება. გლეხთა ცენტრის წარმომადგენლებად კომისიაში შევლენ ბერიშვილი, [illegible] და ჩოლახიანცი. დადგენილია აგრეთვე, რომ ამიერ-კავკასიის კომიტეტს მუღანისათვის კომისრების დანიშვნა ეთხოვოს.

რისი ან ვისი ბრალია?

ნეტავ ვიცოდე: რევოლუციის მიზანია სამართლიანობის დამყარება, რათაც არ უნდა დაჯდეს იგი, თუ ცდა იმისა, რომ ესა თუ ის ბურჟუა არ გამიჯავრდეს, ამა თუ იმ რეაქციონერს არ ვაწყენინოთ.

ვერ გამიგია, რას ნიშნავს სიტყვები „ერთობისა“. „ერთ აზრით სამუშაო, რომლითაც კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზია დღითიდღე სარგებლობს, არის რუსეთის სახელმწიფოში წვრილი ერთა ნაციონალური თავისუფლების მიცემის საკითხი“ (კურსივი ჩვენია).

თუ კი თქვენ, სულითა და გულით რევოლუციონერებს, გადაწყვეტილი გაქვთ, რომ წვრილი ერთა (თორემ მსხვილი ერი უთქვენოთაც წაიღებს) ნაციონალ. თავისუფლება აღიაროთ, საჭიროვანია, რათ უნდა გეშინოდეთ მისი ხმა მაღლა ლაპარაკი, მისი სასურველად გადაჭრისა..

„კონტრ-რევოლუციონერი ბურჟუა ამით ფართოთ ისარგებლოსო“!

ბურჟუაზია და ისიც „კონტრ-რევოლუციონერი“ (კ. ჩ.) რაღა თქმა უნდა ისარგებლებს! რატომ გგონიათ, რომ ნაციონალური საკითხის რაციონალური გადაჭრა უფრო „ამოძრავებთ“ მათ (კონტრ-რევოლუციონერებს), ვინამ 8 საათის სამუშაო დღე?

„დამფუძნებელ კრებამდის“ საკითხი უნდა გადადებულ იქმნესო“ და ამ აზრს მით ასაბუთებთ, რომ ვაი თუ რუსის რეაქციონერები გაჯავრდენო.

საკითხაა, რა უფრო სასურველია: რეაქციონერების გაჯავრება, თუ მთელი რუსეთის იმ არა რუს ეროვნებათა გაჯავრება, რომელნიც ჯერ გადაგვარებულნი არ არიან?

არა მგონია, რომ პირველი უფრო საშიში იყოს, მით უფრო, რომ ისინი დიდი ხანია უკვე, ყოველივე ნაციონალ საკითხის გარეშე, გაჯავრებულნი არიან.

მაშ რაშია საქმე? ამ არაკმაყოფილ ელემენტთა რაოდენობას რატომ აძლიერებთ არა რუს ეროვნებათა უკმაყოფილობით?

ან და შეიძლება სტატისტიკური ცნობანი ხელთა გაქვთ და იცით, რომ ველიკორუსები რეაქციონერები ფიზიკურად უფრო ძლიერნი არიან, ვინემ რუსეთში მცხოვრებ ყველა ერთა ზნეობრივი და რიცხვითი ძალა? არა მგონია და თუ ეს ასეა, მაშინ ესეც გაგვაგებინეთ.

როგორ ფიქრობთ, ბევრათ უფრო ჭკუასთან ახლოს არ იქნებოდა, რომ რევოლუციას ერთ-ერთ თავისი ნაბიჯით მოემადლიერებინა დამონებული ერნი, რათა ისინი, იგემებდენ რა რევოლუციის სიტკბოებას, უფრო ძლიერად ჩაბღაუჭებოდენ მას და არ დაეთმოთ იგი გასანთავისუფლებლად არავისთვის!

თორემ რისი ან ვისი იმედი უნდა ჰქონდეს წვრილ ერებს? იმათი ვინც ახლა კონტრ-რევოლუციას ახდენენ მხოლოდ იმისთვის, რომ წვრილმა ერებმა თავის წამოყვესო?

თუ ეს კონტრ-რევოლუციონერნი ისე ძლიერნი არიან, რომ მათი უნდა გვეშინოდეს, მაშ რა გარანტია გვაქვს რომ იმავე დამფუძნებელ კრებაზედ ისინივე არ იქნებიან ძლიერნი? მაშ სჯობს წვრილმა ერებმა და რევოლუციამაც კი—ეხლავე თავი დავიმარხოთ, რადგან იმედი არსაიდანაა, რადგან ველიკოროსები—რევოლუციის ხანაშიაც კი, იმნაირივე „რევოლუციონერები“ ბრძანებულან, როგორც ძველი მთავრობა.

დროა, დროებითმა მთავრობამაც და ყველა რევოლიუციონურმა პარტიამ გამოაცხადოს ყველა ერთა თავისუფლება, მიუხედავათ იმისა „წვრილია“ იგი თუ „მსხვილი“. და თუ კი რევოლუცია რევოლუციაა წვრილ ერთა თავისუფლება უფრო ადრეც უნდა იყოს გამოცხადებული.

დროა ყოველმა ერმა მოიწვიოს საკუთარი დამფუძნებელი კრება და შეუდგეს თავის ტკივილებისათვის მალამოს გამოძებნას.

ხ. ა—იანი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

(ტელეგრაფის ცნობა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან)

შაბათს, 29, ივლისს, საღ. 9 ნახევარ საათზე, დეპუტატის ა. ჩხენკელის განკარგულებით, საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრი, დეკ. კორ. კეკელიძე, პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ამჟამად პეტროგრადში მყოფ ეპისკოპოს ანტონს, რომელმაც საქართველოს ეკლესიის შესახებ გადმოსცა მას შემდეგი ცნობები:

„25 ივლისს დაამტკიცეს საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის ძირითადი დებულებანი. დეკლარაციის დამტკიცებული ტექსტი, რომელიც მხოლოდ დღეს ჩაგვივარდა ხელში და სულ მალე გამოქვეყნებული იქნება დროებითი მთავრობის „უწყებებში“, დამტკიცებულ დეკლარაციის მიხედვით საქართველოს ეკლესიას შეადგენენ ყველა, რუსეთის საზღვრებში მობინადრე, ქართველნი. ეკლესიის თავი, მთავარ ეპისკოპოსი მცხეთისა და ყველა ქართველთა კათალიკოზ-პატრიარქი, ამორჩევის თანახმად საქართველოს ეკლესიის წესდებისა და, ვიდრე ეკურთხებოდეს, უნდა დამტკიცებულ იქმნეს სახელმწიფოს უზენაეს მართებლობის მიერ; ცხოვრობს ის თბილისში. სამღვდელოება და საეკლესიო დაწესებულებანი ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იღებენ, დაწესებულებათ მინიჭებული აქვთ იურიდიულ პირთა უფლებანი. საქმის წარმოება იმათში და სწავლება სასულიერო უწყების სასწავლებლებში ქართულადაა. კრედიტებისა და საეკლესიო უწყების დაწესებულებათა გასაყოფად დანიშნულია საგანგებო კომისია, რომელზედაც სინოდის ობერ პროკურორი კარტაშევი დიდ იმედებს ამყარებს. კომისიის წევრებად ქართველების მხრივ გვნიშნავენ ჩვენ, ესე იგი დელეგაციას, და თავად ავალიშვილს, ხოლო თავმჯდომარედ ტერნოვსკის, ალსარებათა დეპარტამენტის უფროსს, ვინემ შევიჩი აღარ იქნება, ის გადაყენებულია. კომისია მალე დაიწყებს მუშაობას; პრინციპიულ ხასიათის საკითხები პეტროგრადში გაირჩევა, ხოლო დანარჩენი თბილისში; კომისიის გადაწყვეტილება დროებით მთავრობის მიერ უნდა იქმნეს დადასტურებული. როგორ იცხოვრებს და როგორ მოაწყობს თვის მართვა-გამგეობას საქართველოს ეკლესია საბოლოო გამიჯვნამდე არ ვიცით, ამის შესახებ დაწვრილებით მოველაპარაკებით ობერ პროკურორს. არ ვიცით არც ის, ვის უნდა ექვემდებარებოდენ გამიჯვნამდე ეგრედ წოდებულნი შერეულნი დაწესებულებანი, ვფიქრობთ საქმე ძველებურად დარჩება, თუმცა ამის შესახებაც დავეკითხებით კარტაშევს. რაც შეეხება სასულიერო უწყების სასწავლებლებს, თუ სექტემბრამდის არ გადმოგვეცა ისინი ჩვენ, იმათში სწავლა დროებით გადადებული იქნება. მოამზადეთ სკოლის ნაციონალიზაციის და სასინოდო კანტორის და საექსარხოსო კანცელარიის გადმოცემის პროექტი. სანთლის ქარხნის გამგეთ გადაეცით, რომ გადაათვალიერონ მის მიერ ცნობაში მოყვანილი ციფრები. რუსის ეკლესიის წარმომადგენელს ეწოდება არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი თბილისისა, ექსარხოსი კავკასიისა. კარტაშევმა აღგვითქვა, რომ ის მომავალს მოსკოვის კრებაზე იშუამდგომლებს, რათა ექსარხოსს სხვა რამ სახელი ეწოდოს და არა თბილელი; ის დარწმუნებულია, რომ მის შუამდგომლობას შეიწყნარებენ. ჩვენ პეტროგრადიდან სამს მარიამობისთვის გამოვდივართ“.

ვ. ა. ხარლამოვის მოხსენება კავკასიის შესახებ

სახელმწიფოს სათათბიროს კერძო კრებაზე ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე ხარლამოვმა კავკასიის საქმეთა ვითარების შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა. შეეხო რა კომიტეტისა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციების შორის ურთიერთობას, განაცხადა, რომ მათ შორის სრული სოლიდარობა იყო. არც ერთი რევოლუციონური ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია არ ცდილა, რომ ამიერ-კავკასიის კომიტეტის წინააღმდეგ ელაშქრონ.

მცხოვრებთა ფართე წრეებში არ არის ის ნაციონალური ანტაგონიზმი, რომელზედაც სწერენ და ლაპარაკობენ.

პეტროგრადში მკითხავდნენ—კავკასია გამოყოფას ხომ არა ფიქრობსო. მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ ამიერ-კავკასიაში სეპერატიული ლტოლვილება სრულიადაც არ არის. მთავარ ეროვნებათა პოლიტიკურსა და ხელმძღვანელ პარტიებს შორის კავკასიის საოლქო ავტონომიის იდეას აქვს ფართე ნიადაგი. ამასთან ნაციონალ-კულტურულ საკითხების დარგში თვითმართველობის ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში გადაცემას მოითხოვენ. ფედერაციის იდეალზე მხოლოდ ერთი ფედერალისტების პარტია დგას.

რაც შეეხება კავკასიის ჯარს, უნდა ვსთქვა, რომ იმ მძიმე განცდათა შემდეგ, რომელიც მას წილად ჰხვდა, მათ დიდის პატივისცემით უნდა ვიხსენებდეთ, რადგანაც რევოლუციის შემდეგ მას ფრონტი არ დაუტოვებია და ის სილაჩრე არ გამოუჩენია, რასაც დასავლეთის ფრონტზე ჰქონდა ადგილი.

თიბათვეში კავკასიის ფრონტის მთავარი ნაწილი შემოვიარე, ვიყავი თხრილებში, ვსაუბრობდი მათთან და გულახდილად უნდა აღვიარო, რომ მათ მოვალეობის სრული შეგნება და დროებით მთავრობისადმი ერთგულება ასაზრდოებთ. ჩვეულებრივ განწყობილებაში არიან ოფიცრები და ჯარისკაცები. ნორმალურად მოქმედებენ ჯარის კომიტეტები. სამხედრო მთავრობა მათს უფლებებს არ ზღუდავს.

ყველა ჩვენთაგანისთვის უეჭველია ნათელი უნდა იყოს, რომ ამ ზამთარშიც ომის პირობებში მოგვიხდება ცხოვრება, და მე ვთხოვ დროებით მთავრობას, რომ კავკასიის ფრონტისათვის განსაკუთრებით იზრუნოს, რომ შარშანდელ ზამთრის ტანჯვა წვალება წლეულსაც არ გამოსცადოს. მე არ ვიცი როგორ გამოეხმაურა კავკასია მკათათვის 3—5 ამბებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობა კვლავ გვაგულებინებს თავს ერთი სახელმწიფოს რომელიც თავის სამშობლოთ მიაჩნიათ, როგორც სომხებს, ისე ქართველებსა და თათრებსაც

კორესპონდენცია

I

თელავის დედაკაცთა მოძრაობა და ნიხრი

თელავში 16 მკათათვიდან 21-მდე დაკეტილები იყო ყველა სავაჭრო და სახელოსნოები. მათ ყარაულობდნენ პატრულები. ყოველ დღე აუარებელი დედაკაცები იყრიდნენ თავს ახლომახლო სოფლებიდგან ქალაქის ბაღში, სადაც იმართებოდა ხშირი მიტინგები.

ორატორები მოუწოდებდნენ ყველას სიმშვიდისკენ, ჰპირდებოდნენ ნიხრის დაწესებით სიძვირის მოსპობას, მაგრამ გულ-გატეხილ დედაკაცებს არა სჯეროდათ არაფერი.

ბოლოს, როგორც იყო, ამოირჩიეს მათგან რამდენიმე პირნი და მათთან ერთად შეიმუშავეს ნიხრი, რომელიც წაუკითხეს მკათათვის 20 მიტინგზე. ამ ნიხრზედ თუმცა არაფერი ეთქმოდათ არავის, რადგანაც თითქმის განახევრებული იყო ფასები, მაგრამ მაინც კიდევ არ მოეწონათ ბევრს და გაიძახოდნენ, როგორც ომის წინ ყოფილა ფასები ისე გაეყიდნათ.

ეს კი შეუძლებელია დღევანდელ პირობებში, ამის გამო ალმ. კომიტეტმა ყური აღარ დაუგდო მათ ლაპარაკს, დაურიგა ნიხრი შიგა და შიგ ვაჭრებს და 21 მკათათვეს დილით გააღებინა დუქნები, თან ჯარისკაცები დააყენა საყარაულოდ, რომ არაფერი მომხდარიყო ზოგიერთებისგან.

გაიღო თუ არა დუქნები დიდძალი ხალხი მიაწყდა სავაჭროთ, მეტადრე ფართლის დუქნებს, მაგრამ მეფართლეებს, ორი საათის ვაჭრობის შემდეგ, ისევ დაკეტეს და გამოუცხადეს, რომ თბილისიდგან მიღებულ დეპეშის ძალით სასურსათო კომიტეტზე უნდა გადაეცეს ყველა მეფართლეთა საქონელიო. მეწვრილმანეებმა კი ივაჭრეს შუადღემდის, შემდეგ იმათაც დაკეტეს, რადგანაც ყველას არა ჰქონდა ნიხრი დარიგებული, უიმისოდ კი ნება არა აქვთ ივაჭრონ.

II

შიშიანობა თელავში

23 მკათათვეს, დილის ათ საათზე, ხმები დაჰყარეს თელავში, რომ შვიდი სოფლის: ზემო ხოდაშნის, თელაურის, აწყურის, იყალთოს, რუისპირის, კოღოთოს და ვარდისუბნის დედაკაცები ბაზრის აკლებათ მოდიანო. ამის გამო დიდი ჩოჩქოლი შექნა მთელ ქალაქში, და აღმასრულებელი კომიტეტიც მართლა შეფიქრიანდა, გამოუძახა ტელეფონით მაშინვე ჯარს, ფეხზე დააყენა მთელი მილიცია, გაიყვანა თელავის განაპირას მაწანწარაზე, საიდგანაც უნდა მოსულიყვნენ დედაკაცები, და უბრძანა, რომ არას გზით არ გამოეშვათ ისინი ბაზრისკენ.

გახდა დილის 11 საათი და მართლაც გამოჩნდნენ ზემოხსენებულ სოფლების დედაკაცნი, და მათ შორის რამდენიმე კნეინები და აზნაურის ცოლები ურმებით. ისინი ძალით წამოეყვანათ სოფლელ დედაკაცებს, იმის მუქარით, რომ, თუ არ წამოჰყვებოდნენ, ბოიკოტს გამოუცხადებდნენ თავად-აზნაურობას.

ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ: მართლა აკლებათ მოდიოდნენ ეს დედაკაცები თუ არა?

არა, ჩემო მკითხველო. როგორც გამოირკვა იმ საწყლებს ფიქრადაც არ მოსვლიათ ბაზრის აკლება, არამედ იმათ დაედგინათ თავიანთ სანოვაგის ნიხრი, შეკრებილიყვნენ ერთად და გადაეწყვიტათ, რომ თელავში გაემართათ მიტინგი, ხალხისთვის გაეცნობინებინათ თავიანთი ფასები და სამაგიეროდ ვაჭრებისგან მოეთხოვნათ, რომ ამათაც იმის მზგავსად გაენიხრათ საქონელი.

აი ეს იყო 10—15 ვერსს გამოვლილი სოფლელ დედაკაცების მიზანი, და არა ბაზრის აკლება, როგორც ზოგიეროებს ეგონათ, დღესაც კიდევ ჰკონიათ და ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ ჯარმა დროზე მოასწრო და უკან გააბრუნა გულგახეთქილები.

III

წვრილი ამბები

სოფ. ქვემო-ხოდაშენში (თელ. მაზრა) ლაზარე შიუკაშვილმა თოფით თავი მოიკლა. მიზეზი ის ყოფილა, რომ სოფლის კოოპერატივიდან 50 მ. უსესხებია პურის საყიდლად, მაგრამ მიკიტნის დუქანში შეუჭამია. ცოლს დიდი საყვედური მიუცია, და ქმარს კი ეს ველარ აუტანია.

— 6 მარიამობისთვეს მოხდება თელავის შემ.-გამ. ამხანაგობის დარბაზში ქალაქის ხმოსანთა არჩევნები.

— ახალი ნიხრის დაწესების გამო, თელავის ყასბები საქონელს აღარა ჰკლავენ, შიგა და შიგ გადამხრჩვალ კამეჩის მეტსა, იმასაც გირვანქას 50 კ. ჰყიდიან, ნიხრით კი 30 კ. უწერიათ.

ნ. შუამთელი.

ქართველი ტყვეები გერმანეთში

პეტროგრადის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების სამმართველოს წევრს, ა. დ. ქორქიას ნორვეგიაში ტყვეთ მყოფ ქართველ მღვდლისაგან შემდეგი წერილი მისვლია.

„ქალბატონ მ—ს-გან შევიტყვე, რომ თქვენ გერმანეთში მყოფ ქართველ ტყვეებისთვის დახმარების აღმოჩენა გდომებიათ და ამიტომ გაუწყებთ, რომ მე ორ-წელზე მეტია რაც ტყვედ ვარ. მრავალ ბანაკში ვყოფილვარ და მრავალი ტყვე ქართველიც მინახავს გერმანეთში, მთლად დაუძლურებულებს, ცრემლიან თვალებით შემოუჩივლიათ, რომ ამანათებისა და ფულის მიღებას ვინ ჩივის, მშობელ ნათესავებისაც არა ვიცით რაო. მათ თხოვნისამებრ ბევრჯელ შემიტყობინებია თბილისის ქართველებისათვის. ეხლა ვსარგებლობ თქვენი წინადადებით და გულმოდგინეთ გთხოვთ დახმარება აღმოუჩინოთ მხოლოდ ფულით კი არა (ვინაიდან გერმანეთში ფულით არაფრის ყიდვა არ შეიძლება) არამედ ქონით, ფეტვით, ორცხობილათ (სუხარი) და შაქრით.

მოაწოდეთ მოსკოვის წითელი ჯვრის კომიტეტზე **კოპენჰაგენში** (დანია), შეიძლება აგრეთვე შვეიცარიაზე—**წევმატერის კომიტეტით და ჰოლანდიით.**

ჯერ-ჯერობით გაცნობთ გერმანეთის ბანაკების შემდეგ მისამართებს:

1) Kriegssetangenen lager Altdam—Pomerania.
2) Scsprotu—Шпротау.
3) Sagen—Загенъ.
4) schuaidemül—Шнайдемюль.

მე ვყოფილვარ ამ ბანაკებში, მაგრამ ის კი არ ვიცი, თუ რამდენი ტყვეა იქ. საერთოდ კი გერმანეთში 10,000 ქართველი ტყვეა. **ალტდამის ბანაკში** იმყოფება თავის ნებით სამსახურში შესული და მერე ტყვეთ წაყვანილი ჯარისკაცი კალანდარიშვილი. გთხოვთ მას გამოუგზავნოთ ყოველივე ამანათი ტყვეებისათვის გადასაცემად. ჩემის მხრივ მე დღესვე მივსწერ წერილს ალტდამში კალანდარიშვილს და ვთხოვ, რომ შეიტყოს თუ რამდენი ტყვე იმყოფება იქ და გაცნობოსთ თქვენ.

გავბედავ და გთხოვთ, რომ ზოგჯერ ქართული გაზეთები გამომიგზავნოთ ხოლმე, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ თქვენ თვითონ მოგდისთ. თითქმის სამი წელიწადია რაც სამშობლო კერას მოვწყდი. წერილები სამშობლოზე დარდს არ მიქარვებენ. იქნებ სამშობლოს გაზეთებმა ჭმუნვა შემიმციროს.

მე-482 მოძრავ საველე ჰოსპიტალის მღვდელი **ხახხან თომახაძე**. (ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიის მღვდელი).

1917 წ. მაისს 7.

მისამართი: Norvege. Konnerudkollen. Dramman.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ჟურნალ „სოფლის მუშის“ მეორე ნომერში დასტამბულია „წერილი თელავიდან“ სოსო მაჭავარიანისა, რომელშიც მე მატყუარას მიწოდებს და თელავში 9 მკათათვეს მომხდარ ამბავს, სახელდობრ იმას, რომ მას მუშებმა, ხელოსნებმა, გლეხებმა და სხ. თელავის შემ. გამ. ამხანაგობის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს და ერთხმად მოითხოვეს ჩემი არჩევა გამგეობაში [illegible] იმ გარემოებით, რომ მითომ მე ვუთხირი ამხანაგობის კრებაზედ გლეხებს შემდეგი:

„პური იმიტომ აღარა გაქვთ, რომ მე დამითხოვეს ბანკიდან და იქ აღარა ვარ, როცა მე აქ ვიყავი, აკი ბევრი პურიც მომქონდა. ახლაც ბევრი პური მაქვს მოტანილი მცხეთაში, ნებას არ მაძლევენ, თორემ ურმებით გავგზავნიდი თბილისზე. თუ ამირჩევთ, მე გაგიკეთებთ ყველაფერ საქმესაო“.

„გლეხებმაც იყვირეს ლუკაშვილი გვინდაო“.

დასძენს ბ-ნი მაჭავარიანი.

ვღიარებ, რომ ზემო მოყვანილი ამბავი ჩვეულებრივი ჭორია სოსო მაჭავარიანისა.

ბ-ნო მაჭავარიანო, თქვენი ეს ჭორი უნდა დაამტკიცოთ სამედიატორო სასამართლოს წინაშე, რაზეც თქვენ გიწვევთ. პასუხი მოვალე ხართ მომცეთ ექვსი დღის განმავლობაში, ე. ი. კვირამდე. თუ მე გავმტყუნდე დავისაჯო იმით, რომ სამუდამოდ მოვშორდე ჩემს სამშობლოს და ღირსი არ ვიყვე ჩვენი მშრომელი ხალხის კვალად სამსახურისა. გარდა ამისა სადაც კი ვიყო, იქაც ნება არა მქონდეს რაიმე საზოგადო ორგანიზაციაში შესვლისა.

თუ თქვენ გამტყუნდეთ, ბ. მაჭავარიანო, მაშინ 24 საათში უნდა დასტოვოთ ქ. თელავი და გახვიდეთ ყველა იმ დაწესებულებებიდან, რომელთაც მუშ., ჯ. კ. და გლეხთა საბჭოები ჰქვიან, რომელნიც სჭედენ ბრწყინვალე მომავალს ჩვენი მშრომელ ხალხისას და რომლის მუშაობაში თქვენ დიდი დეზორგანიზაცია შეგაქვთ.

ესევე უნდა დაიმახსოვროთ, თუ სასამართლოს გაექცევით. ვნახოთ ვინ ხართ მატყუარა მე, თუ თქვენ.

დ. ლუკაშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისით)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.05	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	8.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.15	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
[illegible]-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.45	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.24	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.05	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

[illegible] [illegible]
[illegible]
კალანდარიშვილი
[illegible]
[illegible]
მანგლისში
საკრედიტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
მ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: [illegible] ქუჩა № 67;
[illegible]
[illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალი
ქ. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
[illegible] ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროსპ. № 86, მეორე სართული.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს [illegible] გარდა საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
ქ. ღ. შალამბერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნო ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—55.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. [illegible], [illegible] ქუჩა, № 19.

კომიტეტი
ქართველთა სამხედრო კავშირისა
მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.
10—740—10 კომიტეტი ქ. ს. კ.

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი
„ჯარის კაცი“
გაზეთი წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. едакція газ. „Джарисъ Капи“. Почтовый ящикъ № 190
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.
10—740—10 რედაქტორ-გამომცემელი ქ. ცქიტიშვილი.

[illegible]
[illegible]
[illegible] ქუჩა, [illegible] № 9, [illegible] № 912.
[illegible]

სტამბა „ეკონომია“ ასლან კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“